ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ოპოზიციის გინების სეზონი პრემიერმა გახსნა და დეპუტატების ცემისთვის არავის დასჯიან“



გვ.2

## 1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი

სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

შაბათი – კვირა, 3 – 4 მარტი, 2018 №52 (7597) ფასი: 50 თეთრი

# „კახა კალაძე და გიგა ბოკერია ერთ გუნდში არიან“



## კახა კუკავა: „ოცნების“ ლიმიტი ამოიწურა“



გვ.4

## „ნატოსკენ სვლა თავად რუსეთმა გვაიძულა“



გვ.3

კონსტანტინე გამსახურდია: „შეუძლებელია, ამ საკითხზე კიდევ არსებობდეს შიდა დაპირისპირება“

## რა კავშირი აქვს ვასილ მაღლაფერიძის მძღოლს არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობასთან



გვ.2

## შოთა მალაშხია: „ხელისუფლება, რომელიც 2008 წლის ომის დაწყებას საქართველოს აბრალებდა, ახლა ხალხს დასცინის“



გვ.3

### სამართალი

გვ.7

„სამი მეტრი მაინც არის გათრეული თმებით“ – მშობელი ბაღის მასწავლებელს ძალადობის გამო უჩივის



## შსს–მ აჭარაში თაღლითური ჯგუფი დააკავა



## ჯებირთან მივიდა, პირჯვარი გადაისახა და წყალში გადახტა



### ეკონომიკა

გვ.6



## თაფლის ექსპორტი 78,3%-ით შემცირდა

## ერთი წლის განმავლობაში სურსათის ფასი 3,4%-ით გაიზარდა





## დაგროვებითი საპენსიო სისტემა სავალდებულო იქნება

ISSN 1987-9385

**5** თუ ობიექტები სავალდებულო დაზღვევას არ დაემორჩილებიან, მათ სანქციები დაეკისრებათ

**4** გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეზე პროკურატურამ გამოძიება ხელახლა დაიწყო

**6** კახა კალაძე: „ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ „შტადლერის“ საწარმო საქართველოში გადმოვიდეს“

**4** „ამდენი სიცრუე, თავზე ლაფის დასხმა, შეურაცხმყოფელია ჩემთვის“

# რა კავშირი აქვს ვასილ მაღლაფერიძის მძღოლს არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობასთან

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს ხელისუფლება პირობას დებს, რომ უახლოეს დღეებში არჩილ ტატუნაშვილის ცხედარი ოჯახს დაუბრუნდება. ამის შესახებ განცხადება ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა.**



უახლოეს დღეებში ცხედრის დაბრუნებას ელოდებიან საპატრიარქოშიც. 1 მარტს არჩილ ტატუნაშვილის ოჯახის წევრები პატრიარქმა მიიღო.

პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელის ლაშა ჟვანიას თქმით, საქართველოს ეკლესია გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს.

ჟვანიას ინფორმაციითვე, გარდაცვლილი არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვენებასთან დაკავშირებით ილია II რუსეთის პატრიარქს წერილობით მიმართავს.

ვიდრე ოკუპანტები და მათი ყმები გარდაცვლილის ცხედრის გადმოცემაზე გვევაჭრებიან, ტატუნაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით სკანდალური ინფორმაციები ვრცელდება.

სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ.

მან სკანდალური პოსტი სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა. „ახალი თაობა“ მის ამ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

— მიმდინარე წლის პირველ მარტს დამიკავშირდა ჩვენი სპეცსამსახურების ერთ-ერთი ღირსეული თანამშრომელი, რომელიც ცხინვალის მიმართულებაზე მუშაობდა და (მისივე თხოვნით გვარს ვერ გავასაჯაროვებ), რომელსაც ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ არაერთი ურთულესი ოპერაცია აქვს ჩატარებული და დღეს ის რუსეთის დაკვეთით და „ოცნების“ აღსრულებით იმყოფება ქართულ ციხეში...

სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომელი ვერ მალავდა აღშფოთებას ჩვენი ჯარისკაცის არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით!

მან მომაწოდა ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციები ჯარისკაცის მკვლელ ხაჩიროვთან დაკავშირებით და მოუწოდებს უშიშროების სამსახურებს, არ შეარჩინონ ტატუნაშვილის მკვლელობა ნაძირალა მკვლელს!

ის ფლობს მნიშვნელოვან ინფორმაციას ხაჩიროვის კონტაქტებზე საქართველოში.

მათ შორის მის სეპარატისტ ძმაზე, რომელსაც აქვს საცხოვრებელი ბინა მცხეთაში (სადაც ხშირად დადის) და იყო ვასილ მაღლაფერიძის მძღოლი...

ასევე, ფლობს ინფორმაციას ხაჩიროვის უახლოეს ოჯახის წევრზე, მის კონტაქტებზე, რომელსაც ასევე აქვს საცხოვრებელი ბინა თბილისში, თემქაზე და რომელიც აგრეთვე ხშირად სტუმრობს დედაქალაქს.

ჩვენი სპეცსამსახურის თანამშრომელი ხაჩიროვს იცნობს პირადად და ახასიათებს მშიშარა, მხდალ კაცად... რომელსაც ქართული სპეცსამსახურების შიშით არაერთ დანაშაულზე აქვს ხელი აღებული!

მას შეუძლია ხაჩიროვი 24 საათში წარუდგინოს ქართულ მართლმსაჯულებას!

სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი მზად არის ციხიდანვე ყველანაირად დაეხმაროს ქართულ სპეცსამსახურებს ხაჩიროვის ადგილსამყოფელის, მისი კონტაქტების და ა.შ. ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიებაში, მის დადგენაში და სწრაფ ევაკუაციაში, რათა მოხდეს მკვლელის ქართული მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა!

მზად ვარ უშიშროების სამსახურს გადავცე ყველა ინფორმაცია, მათ შორის სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომლის სახელი და გვარი!

ზვიად კუპრავა მოუწოდებს ხელისუფლებას და მის ძალოვან უწყებებს, პირადი ამბიციები არ დააყენონ სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა და გამოიყენეთ ადამიანი, რომელსაც შეუძლია სირცხვილი მოწმინდოს ქართულ სახელმწიფოს!

გაჟღერებულ ბრალდებებს ავადსახსენებელი ფილიპ ხაჩიროვიც გამოეხმაურა.

ის გავრცელებულ ინფორმაციას პროვოკაციას უწოდებს.

— ტრაგიკული მოვლენა აუცილებლად უნდა იყოს მაქსიმალურად ობიექტურად გამოძიებული და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი დამნაშავის დადგენა და ბრალის წაყენება.

ჩემი მხრივ ვაცხადებ, რომ ის ბრალდებები, რომელიც თბილისის ტელევიზიების გადაცემებისა და ჩემს მიმართ ისმის, დაგეგმილი პროვოკაციაა. ის მიზნად ისახავს ჩემს დისკრიმინაციასა და ხალხის უკმაყოფილების გამოწვევას. ვაცხადებ, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვერ შეასრულებს სპეცსამსახურის ფუნქციას, რადგან ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის და ისინი ჩემს ბრძანებებს არ ემორჩილებიან, რადგან ჩემს დაქვემდებარებაში არ შედიან. გარწმუნებთ, რომ სიმართლე დადგინდება, — აცხადებს ხაჩიროვი.

ხაჩიროვი ოსებს ახალგორის ადმინისტრაციის უფროსად ყავთ გამწესებული.

ტატუნაშვილის მკვლელობის შემდეგ საკმაოდ გამწვავდა ვითარება ოკუპირებულ ახალგორში.

რადიო თავისუფლების ინფორმაციით, ოკუპირებულ ახალგორში მობილიზებულია სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურების სპეცრაზმები.

გამომცემლობის ცნობით, განსაკუთრებით აქტიურობს ე.წ. ომონი, რომელიც დაბაში ცხინვალიდან ჩაიყ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# დიმიტრი ბიძინაშვილი: „ოპოზიციის გინების სეზონი პრემიერმა გახსნა და დეპუტატების ცემისთვის არავის დასჯიან“

შორენა მარსაგიშვილი

**ბორჯომში ცირკი, სახელად ბუნტი ჯამაგირისთვის, 2 მარტსაც გაგრძელდა.**

მუნიციპალიტეტის ამბოხებული მერი ლევან ლიპარტია და მერიის თანამშრომლები სამსახურში არ გამოცხადდნენ.

მედიასთან საუბარში აბობოქრებული მერი ამბობს, რომ ამბოხებულები

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ჩანიშვნას და მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებას ითხოვენ, ამ საკითხების გადაწყვეტამდე კი მერია მუშაობას არ განაახლებს.

მისი თქმით, მერიის თანამშრომლებს აქვთ პროტესტის გამოხატვის უფლება და იყენებენ ამ უფლებას.

ბორჯომში მიმდინარე ჯამაგირის ბუნტმა საზოგადოება აღაშფოთა. აღშფოთებულთა შორის არის მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილიც.

მართალია, აღშფოთებულია, მაგრამ მიიჩნევს, რომ ამ ბუნტს ერთი დადებითი მხარე ნამდვილად აქვს. რა არის ეს დადებითი მხარე, რატომ არაფერს აკეთებს ცენტრალური ხელისუფლება, რა უნდა გააკეთოს ხალხმა? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

**დიმიტრი ბიძინაშვილი:**

— „მედიატორს“ უამრავი კვლევა აქვს ჩატარებული, რომლის დროსაც მრავალ დარღვევას და უცნაურობას წავაწყდით, მაგრამ რაც ბორჯომში ხდება, ასეთი რამე არც კი გაგვიგია. ამას ალბათ მთელ მსოფლიოში არ ექნება ანალოგი. როგორ შეიძლება მმართველი პარტია ატარებდეს აქციებს, დესტაბილიზაციას იწვევდეს რეგიონში ერთადერთი მოთხოვნით — გაეზარდოთ ხელფასები.

ასეთი საქციელი აღმაშფოთებელია, მაგრამ მას დადებითი მომენტიც აქვს — მთელმა საქართველომ დაინახა, თუ რას წარმოადგენს „ქართული ოცნება“. ბორჯომი ერთადერთი მუნიციპალიტეტია, სადაც „ოცნება“ უმრავლესობით ვერ მოვიდა ხელისუფლებაში.

ამ დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, თუ რა არის „ქართული ოცნებისთვის“ მნიშვნელოვანი. ხელფასი, პრემია, დანამატი — ეს არის ის, რის მისაღებადაც ისინი თავგამოდებით იბრძვიან.

სხვა რეგიონებშიც ანალოგიური სიტუაციაა. იქაც არანორმალურად გაიზარდეს ხელფასები. სხვაგან ამ პროცესმა მხოლოდ იმიტომ ჩაიარა მშვიდად, რომ იქ „ოცნებაა“ უმრავლესობაში. ბორჯომშიც მშვიდად გაიზრდიდნენ ხელფასებს, თავად რომ მოსულიყვნენ უმრავლესობაში.

მათი გონება მხოლოდ ერთი მიზნისკენ არის მიმართული — რაც შეიძლება მეტი ფული იშოვონ, მოსწრებაზე არიან.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, კაციშვილს არ ახსოვს, რომ ბორჯომის საკრებულოში ვინმე საღამოს 9 საათამდე მაინც დარჩენილიყო. ხელფასების გაზრდაზე რომ მიდგა საქმე, მზად იყვნენ, ღამე გაეთიათ.

***— გვიანობამდე ეს საკრებულო არც მაშინ მუშაობდა, ბორჯომის ტყეებს რომ ცეცხლი ეკიდა.***

— ღამეები არც ამ ხანძრების გამო გაუთენებიათ, სამაგიეროდ, ახლა არ იძინებენ. მათ არც ქვეყანა აინტერესებთ, არც ტყე და არც ხალხი. მათ აინტერესებთ ფული და მის გამო ყველაფერზე მიდიან.

ბოლო წლებში მთავრობის წევრებისგან არაერთხელ გვსმენია, ხელფასების და პრემიების საკითხს დავარეგულირებთო. დანაპირებს როგორც ასრულებენ, ბორჯომის მაგალითზე ვნახეთ — მერია გაფიცულია და ხელფასების გაზრდას ითხოვს.

***— რაც ბორჯომში ხდება, მართლა სამარცხვინოა და ამას „ქართული ოცნების“ ლიდერები ვერ ხვდებიან? ხომ შეიძლება დროებით მაინც გააჩერონ ამბოხებულები?***

— ვერ გააჩერებენ. თავად იზრდიან ხელფასებს და სხვას რა უნდა მოსთხოვონ. როგორც უკვე გითხარით, მთელი საქართველოს მასშტაბით გაიზარდეს ხელფასები. ბორჯომში ეს მხოლოდ იმიტომ ვერ გააკეთეს, რომ აქ უმრავლესობაში ოპოზიციაა.

ამ ხელისუფლებისგან არაფერი არ მიკვირს, მაგრამ მაინც გამიკვირდა, რომ პოლიციას რეაგირება არ ჰქონდა, როცა საკრებულოს დეპუტატებს სცემდნენ. მეტიც, სამართალდამცავები საკრებულოსთან მანამდე არ მივიდნენ, სანამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მობილიზაცია არ გამოაცხადეს.

***— საკრებულოს წევრების გარდა, იქ პარლამენტის წევრებსაც მოხვდათ.***

— პარლამენტის წევრს მიაყენეს როგორც სიტყვიერი, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფა. ეს ყველაფერი დაფიქსირებულია და მთელმა საქართველომ ნახა. სამართალდამცავებს ამაზე არანაირი რეაგირება არ ჰქონიათ. იმის ნაცვლად, რომ მოძალადეები დაესაჯათ, მათ დასახმარებლად მეორე დღეს




ბორჯომში სპეცდანიშნულების რაზმი ჩაიყვანეს. ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, სპეცრაზმი იმიტომ ჩაიყვანეს, რომ საკუთარი გუნდის წევრებს ხელფასების გაზრდაში დახმარებოდნენ.

მმართველმა გუნდმა აუცილებლად უნდა გაგვცეს პასუხი, თუ რატომ არ მოხდა იმ პირების დასჯა, ვინც დეპუტატებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, მოძალადეები დაკითხვაზეც კი არ დაუბარებიათ.

***— სავარაუდოდ, არც დაიბარებენ. მეოცნებეთა მხრიდან გაკეთებული განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, პროვოკაცია დეპუტატმა ნიკა მელიამ მოაწყო.***

— სხვა რა უნდა თქვან. მე არ ველოდები, რომ „ოცნება“ მოძალადეებს დასჯის და დეპუტატების სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის პასუხს მოსთხოვს. ამას საფუძველი პრემიერმა ჩაუყარა. ყველამ ვნახეთ, როგორ აგინა მთავრობის მეთაურმა ოპოზიციონერ დეპუტატს პარლამენტში. ოპოზიციის გინების სეზონი კვირიკაშვილმა გახსნა და ამიტომაც დეპუტატების გინების გამო არავის მოსთხოვენ პასუხს.

***— თქვენი აზრით, უნდა ჩასულიყვნენ დეპუტატები ბორჯომში? ამბობენ, რომ მათმა გამოჩენამ სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა.***

— აუცილებლად უნდა წასულიყვნენ. მე ძალიან გამიკვირდა, ინციდენტის ღამეს იქ რატომ არ ჩავიდნენ ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები.

***— პატრიოტთა ალიანსი გყავთ მხედველობაში?***

— დიახ, პატრიოტთა ალიანსი. მთელი ოპოზიცია იქ უნდა ჩასულიყო და იმ უმსგავსობისგამო „ოცნებისთვის“ პასუხი მოეთხოვათ. „ოცნების“ გაჩერება მხოლოდ ერთად მდგარ ოპოზიციას შეუძლია. საჭიროა ხალხის ერთიანობაც. ხალხი ისედაც კარგად ხედავდა, თუ რას წარმოადგენდა მმართველი ძალა, მაგრამ ახლა მათ საბოლოოდ ჩამოიხსნეს ნიღაბი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შოთა მალაშხია: „ხელისუფლება, რომელიც 2008 წლის ომის დაწყებას საქართველოს აბრალებდა, ახლა ხალხს დასცინის“

მარიამ მჭედლიშვილი

**ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ მდგომარეობასა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა" ესაუბრა პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის ყოფილ თავმჯდომარე შოთა მალაშხიას, რომელიც ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერია**

## „ის მოღვაწეები, რომლებმაც ხელი მოაწერეს მიმართვას, ან მენტალურად არიან ჩამორჩენილი, ან რუსეთიდან ფულს, ხელფასს იღებენ“



***— პარლამენტი აპირებს, უახლოეს პლენარულ სხდომაზე მიიღოს რეზოლუცია არჩილ ტატუნაშვილის ცხინვალის ციხეში მოკვლასთან დაკავშირებით. პროექტის თანახმად, ამ მკვლელობაში პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთს. რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს ოკუპირებულ რეგიონებში უცხოელი დამკვირვებლების შეშვებას.***

— მომხდარზე პასუხისმგებელი ნამდვილად რუსეთია, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს რეგიონები. ეჭვს იწვევს ის, რომ ამას აცხადებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება.

***— რატომ? ეს ხელისუფლება ზედმეტად ლოიალურია რუსეთის მიმართ?***

— ეს ხელისუფლება მოსვლისთანავე აბრალებდა 2008 წლის ომს საქართველოს. „ქართული ოცნება“ ხალხს არჩევნების წინ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებასაც ჰპირდებოდა. ამ ხალხმა თავისი ცხოვრება რუსეთთან მიმართებითაც კარგად მოიწყო — ზოგმა ღვინო გააძვრინა რუსეთში, ზოგმა — მწვანილი. ზურაბ აბაშიძეს, მაგალითად, ხელფასი დაენიშნა გრიგორი კარასინთან კონტაქტებისთვის.

ერთმა ჯგუფმა შეიქმნა კარგი პირობები და კეთილდღეობა იმ დროს, როცა ხდება სახელმწიფოს დამცრობა, ინსტიტუტების მოშლა და ხალხის მდგომარეობის გაუარესება. ირაკლი შიხიაშვილმა, რომელიც ვეტერანთა სამსახურს ხელმძღვანელობდა, ქართველი ვეტერანების სია გადასცა ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას. ეს ორგანიზაცია აორთქლდა. კოდორის ხეობაში სპეცოპერაციის მონაწილე 6 პირი მოკლეს. არაერთი პატრიოტი ციხეშია გამომწყვდეული.

ამ ყველაფრის ჩამდენ „ოცნებას“ ახლა გაახსენდა, რომ რუსეთი ოკუპანტია? ხელისუფლება, რომელიც ომის დაწყებას საქართველოს აბრალებდა, თავისი განცხადებებით ხალხს დასცინის. როგორც იქნა, რეზოლუციაში ჩაიწერება, რომ ღვაწლმოსილი სამხედრო მოსამსახურის, ტატუნაშვილის მკვლელობაზე პასუხისმგებელია ოკუპანტი.

***— გატაცებები გახშირდა?***

— 2012 წლიდან დაწყებული, ადამიანთა გატაცებები 5-ჯერ გაიზარდა. ამაზე არ მოგვისმენია პარლამენტის რეაგირება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია რას აკეთებს, კაციშვილმა არ იცის.

***— ამ საკითხებზე უფრო შერიგების უწყება აქტიურობს.***

— ამ უწყებას პარლამენტში წარდგენილი აქვს პროექტი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შერბილების შესახებ. პირველი მოსმენით უკვე მიღებულია. ამ კანონის შერბილება დაუშვებელია.

***— აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ახლაც საუბრობენ მისი შერბილების აუცილებლობაზე.***

— ამას მოითხოვენ რუსეთი და გაზპრომის მეწილე ბიძინა ივანიშვილი. დანარჩენები ხელისუფლებაში მისი მონები არიან. ამ კაცს რომ საქართველოსთვის კარგი არ უნდა, მისი ახლანდელი მოქმედებებით დასტურდება. მამა-მარჩენალის დავალებით გადათხრილია თბილისის დიდი ნაწილი, იქმნება სეისმური საშიშროება. დასავლეთ საქართველოში მან ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანა ხალხი.

ამ კაცსა და მის ქვეშევრდომებს ედარდებათ ცხინვალში მოკლული სამხედრო? ვაჭრობის სფეროს მუშაკებს პატივს ვცემ. ვაჭრობა ღირსეული საქმეა, მაგრამ პროფესიონალი სამხედრო ვაჭრობით არ უნდა დაკავდეს. არჩილ ტატუნაშვილი ოჯახს ვაჭრობით არჩენდა. სახელმწიფოს ღვაწლმოსილი სამხედროების მიმართ ასეთი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს. მათ მომზადებასა და სწავლაზე თანხებია დახარჯული. ისინი პროფილით უნდა მუშაობდნენ.

***— ყველაფრის მიუხედავად, ხელისუფლებამ გაბედა პასუხისმგებლობის დაკისრება რუსეთისათვის.***

— „ქართული ოცნება“ იძულებულია, ეს გააკეთოს. რამდენიმე დღის წინ აშშ-ის ელჩმა, რომელსაც ვადა ეწურება, ხელისუფლებას უთხრა, რომ თუ ქვეყანაში მეტი დემოკრატია არ იქნა, მას პრობლემები შეექმნება. პრობლემები ხელისუფლებას უკვე ზომაზე მეტი აქვს. ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი ხელყოფილია. კორუფციამ თითქმის ყველა სფერო მოიცვა. სასამართლოს გამო მმართველი ჯგუფი ერთმანეთსაც დაეტაკა. პროკურატურაში, შსს-სა და დაზვერვაში რა ხდება, ღმერთმა უწყის.

მათი პატრონი, პუტინი, ისე სამარცხვინოდ წარდგა საკუთარი პარლამენტის წინაშე, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერს გაუტოლდა. ფულის შოვნაზე ორიენტირებული „ოცნება“ ხვდება, რომ რუსეთს სანქციებისა და სხვა მიზეზების გამო დიდი კრიზისი ეწყება. „ქართული ოცნება“ თავის გადარჩენაზე ფიქრობს. ასეთ ხელისუფლებას მეომრის ბედი რატომ დააინტერესებს? ევროკავშირის დამკვირვებლების შეშვება ოკუპირებულ რეგიონებში აქამდე არ უნდა მოეთხოვათ? გაუგებარია, რას აკეთებს პარლამენტი. ბევრი ისეთი რამ მოხდა, რაც მოითხოვდა საგამოძიებო საპარლამენტო კომისიის შექმნას. ეს არცერთ შემთხვევაში არ მომხდარა.

ყოველთვის ვამბობდი, რომ „ქართულ ოცნებას“ აუფეთქდებოდა სიტუაცია. ახლა ამას ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა ეთანხმება. ეს მხოლოდ ჩემი განწყობა არ არის. მელიას რომ სცემ და ცემის კულტივირებას მოახდენ, ამით რამე გეშველება? პროვოკაციებითა და ძალადობით „ქართული ოცნება“ უფრო მეტად გამოითხრის ძირს.

***— ამ მძიმე სიტუაციაში რას უნდა მივაწეროთ ინტელიგენციის ნაწილის, კულტურის მოღვაწეების ღია წერილი, სადაც ნატოში გაწევრიანების საფრთხეზეა საუბარი?***

— ესაა მარაზმატიკების დაწერილი მარაზმატული წერილი. ეტყობა, ამ ხალხმა იფიქრა, ეს ხელისუფლებას სჭირდებაო და ასიამოვნა მმართველებს. ნატოში შესვლა ჩვენთვის რუსეთისგან თავდაცვას ნიშნავს. გარკვეული ხნის განმავლობაში ნატოს მეხუთე მუხლი ვერ გავრცელდება ოკუპირებულ რეგიონებზე. ევროკავშირში რომ გავწევრიანდეთ, იმ შემთხვევაშიც იურიდიულად უზრუნველყოფილი იქნება ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ, ფაქტობრივად, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი პირველ ეტაპზე ევროკავშირში ვერ შემოვლენ. იგივეა ნატო. ადრე ეს ხალხი გაიძახოდა, ნატო არაფერს ნიშნავს, არ გვინდაო. ახლა აუჩემებიათ, ოკუპირებული ტერიტორიებით შევიდეთ ამ ორგანიზაციაშიო. თურმე ეს ანგარიშგასაწევი ალიანსი ყოფილა. ნატოსთან ერთად რომ დეოკუპაციას უფრო მალე მივაღწევთ, ამას ახსნა რად უნდა!

***— ეს ხალხი საზოგადოებაზე გავლენას ახდენს?***

— როგორც საქართველო ვერ მოექცევა რუსეთის ორბიტაზე, ისე ეს ადამიანებიც ვერ იმოქმედებენ საზოგადოებაზე. საერთაშორისო კონტექსტიც იმას მიანიშნებს, რომ რუსეთი წარსულია. თუ სამაგალითოა რუსეთი, რუსეთუმეებზე სამკურნალოდ იქ იარონ და თავიანთი ოჯახის წევრები იქ გაუშვან სასწავლებლად. ამ წერილის ხელმომწერებიდან ზოგი მენტალურადაა ჩამორჩენილი (ასაკს მნიშვნელობა არ აქვს), ზოგი კი ხელფასს რუსეთიდან იღებს. ჩემთვის ორივე კატეგორია ერთნაირია და ორივე — მიუღებელი.

# „ნატოსკენ სვლა თავად რუსეთმა გვაიძულა“

## კონსტანტინე გამსახურდია: „შეუძლებელია, ამ საკითხზე კიდევ არსებობდეს შიდა დაპირისპირება“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ნატოში გაწევრიანების საწინააღმდეგო დაწყებულ ხელმოწერებზე საუბრობს.**



***— ბატონო კონსტანტინე, ანალიტიკოს ლუკ კოფის იდეას, ნატოში საქართველოს დაჩქარებულ გაწევრიანებაზე, საუბარია მე-5 მუხლის შეჩერებაზე, ჩვენთან დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. გაწევრიანების საწინააღმდეგოდ ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყეს. რატომ, როგორ ფიქრობთ?***

— ზოგადად ორი სხვადასხვა მოსაზრების არსებობა ერთი მხრივ ნორმალურია, მაგრამ დღეს, ოკუპირებული ტერიტორიების ფონზე, როდესაც ათასობით ადამიანია რუსეთის რეგულარული არმიის მიერ დახვრეტილი და ათასობით ადამიანია საკუთარი სახლიდან, საკუთარი მიწა-წყლიდან განდევნილი, აქ შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს და ეს ნორმალური იყოს.

ისინი, ვინც ნატოში თუნდაც ამ გზით გაწევრიანების პერსპექტივებზე ახმაურდნენ, არიან „სავოკები“. „სავოკი“ არის ადამიანი პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც საბჭოთა კავშირს მისტირის და რუსეთის ფედერაციას, როგორც მის შემცვლელს, იმედით აღვსილი შესციცინებს. ეს ადამიანები ხარობენ, როდესაც წაიკითხავენ ინფორმაციას, მაგალითად, ახალ რუსულ ატომურ იარაღზე ან მის თითქოს წარმატებულ გამოცდაზე. ამ „სავოკებს“ ჩვენი ქვეყანა დიდი ხნის წინ ექნებოდათ ნანგრევებად ქცეული, რომ არა საერთაშორისო მასშტაბის შემაკავებელი სამხედრო-პოლიტიკური ძალა, ვგულისხმობ ნატოს და ამერიკის შეერთებულ შტატებს. 200-წლიანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ფონზე, შეუძლებელია, ამ საკითხზე კიდევ არსებობდეს შიდა დაპირისპირება.

***— ფაქტია, რომ არსებობს.***

— დიახ და ეს სრულიად გამაოგნებელია. რასაკვირველია, მსგავსი დაპირისპირება რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ არა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც შავზე ამბობენ, რომ თეთრია. ჩვენი, უახლესი ისტორია სხვა არაფერია თუ არა ეს საშინელება, ყოვლად ამაზრზენი.

ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველო ძალიან შორს არის წასული, მე გეუბნებით თავად ნატოს ექსპერტების აზრს. პროფესორი ჯემი ში, რომელიც ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციონერია, ამბობს, რომ ჩემს კოლეგებს ბრიუსელზე ხშირად თბილისში ვხვდებიო. ეს არის ის ერთადერთი სწორი გზა, საიდანაც გადახვევა ყოვლად წარმოუდგენელია. ეს გადაწყვეტილება თავად ქართველ ხალხს აქვს მიღებული და გადახვევა არ მოხდება!

ვიღაც მეტყვის: და რას მოგვიტანს ნატო, ყურის ძირში გვაქვს საფრთხე. მათ მინდა ვუთხრა, რომ ეს საფრთხე იქნება მანამდე, სანამ ნატო არ იქნება საქართველოში. ჯერ იყო რუსული საფრთხე და ამას მოჰყვა ნატო. ხომ უნდა გვახსოვდეს ისტორია, რატომ დავიწყეთ ნატოსკენ ყურება? იმიტომ, რომ რუსულ საფრთხეს თვალებში ჩავხედეთ, მწარედ ვიგემეთ და სხვა გზა აღარ დაგვრჩა. თავად რუსეთმა გვაიძულა, თავისი დაუნდობელი, ჩამყლაპავი პოლიტიკით, რომ თავდაცვის მექანიზმები გვეძია. თანამედროვე სამყაროში ნატოზე უსაფრთხო თავდაცვითი მექანიზმი არ არსებობს.

პუტინი გამოდის და ამბობს, რომ მათი საფრთხე არის ჩამორჩენილობა და იქვე მართავს ულტრათანამედროვე რაკეტის ამსახველი კლიპის პრეზენტაციას. კი მაგრამ, ჩამორჩენილობის პარალელურად როგორ შექმნეს ძლიერი ტექნოლოგიები, თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი რაკეტა?! ავტომანქანა, მობილური და ლეპტოპი ვერ გამოუშვია და თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე რაკეტა როგორ შექმნა?! ამაზე პენტაგონის რეაქცია ძალიან თავშეკავებული იყო.

***— ბატონო კონსტანტინე, ხელმომწერებს რომ დავუბრუნდეთ, ხელმომწერების განგაშს თითქოს მე-5 მუხლის შეჩერება იწვევს.***

— არა მგონია, ეს იყოს რეალური მიზეზი. რატომ ავიწყდება ყველას საქართველო და მისი ინტერესები. დღეს ჩვენი ინტერესები ძალიან შორს არის რუსეთისგან, რუსეთი ნომერ პირველი საფრთხეა ჩვენი სახელმწიფოსთვის. ცხადია, მე მირჩევნია, რომ აფხაზეთით და სამაჩაბლოთი შევიდეთ ნატოში, მაგრამ ოკუპირებული რომ აქვს რუსეთს?! რა გავაკეთოთ, საერთოდ არ გადავდგათ ნაბიჯი არსაით?! ახლა გავწევრიანდეთ მე-5 მუხლის შეჩერებით და შემდეგ იქნებ აფხაზებმა და ოსებმა მოინდომონ კიდეც ნატოს წევრ სახელმწიფოში გაწევრიანება, ჩვენ ხომ ეს წინასწარ არ ვიცით?!

იმ ნაწილს მინდა მივმართო, ვინც გვამუნათებს, რომ ჩვენ საქართველოს იმ ნაწილს ვთმობთ, რომელიც მავთულხლართების მიღმაა მოქცეული რუსეთის მიერ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანის პირველმა კანცლერმა, შორსმჭვრეტელმა კონრად ადენაუერმა, როდესაც მას შესთავაზეს გერმანიის გაერთიანება, მან უპასუხა: მე მირჩევნია ნახევარი გერმანია მთლიანად, ვიდრე მთელი გერმანია სანახევროდ. დღეს გერმანია ერთიანი სახელმწიფოა. ამით იმის თქმა მინდა, რომ დაცულ საქართველოს, წინ წასულ საქართველოს ბევრად მეტი პერსპექტივა აქვს, რომ გაერთიანდეს, ვიდრე ამ პირობებში, რომელშიც დღეს ვართ.

2018, 3 — 4 მარტი, №52

# „კახა კალაძე და გიგა ბოკერია ერთ გუნდში არიან“

ნონა ცაბაძე

## კახა კუკავა: „ოცნების“ ლიმიტი ამოიწურა“

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

***— ბატონო კახა, წლებია პოლიტიკურ პროცესებს ვაშუქებ, ყველაფერი მინახავს, მაგრამ ხელისუფლება ოპოზიციას აქციებს უმართავდეს, არ მინახავს. რა ხდება, ახალი ფენომენია რამე?***

— გეთანხმებით. ამით ძალიან კარგად ჩანს ერთი რამე, დღეს ხელისუფლებაში არიან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — ღორები! ნამდვილი ღორები, რომლებიც არაფერზე არ რეაგირებენ.. ეს ქვეყანა სულ რომ დაიქცეს და მიიერთოს საუდის არაბეთმა, რეაქცია არა აქვთ. პარლამენტში ერთადერთი დებატები ჩვენ ვნახეთ, როდესაც ავტომობილების ტენდერები ვერ გაიყვეს და ერთადერთი საკრებულო, რომელშიც ვნახეთ, რომ საერთოდ „ქართული ოცნების“ დეპუტატებს ლაპარაკი სცოდნიათ, ეს არის ბორჯომის საკრებულო. იმიტომ, რომ იქ არიან უმცირესობაში და ხელფასები და პრემიები ვერ მოიმატეს.

საქართველოში არსებული დანარჩენი 73 საკრებულო სიამოვნებისაგან ღრუტუნებს, იმიტომ, რომ გასცემენ ხელფასებს და გასცემენ პრემიებს. ერთადერთი ბორჯომის საკრებულოში არის აურზაური, პირდაპირ შეშლილი სახეები ამ დეპუტატების, იმიტომ, რომ ხელფასი და პრემია ვერ მოიმატეს. ეს არის ძალიან კარგი ლუსტრირება იმისა, თუ ხელისუფლებაში რა პოლიტიკური ძალა იმყოფება!

***— ამ ფონზე 20-ლარიან სოციალურ დახმარებას უნიშნავენ მრავალშვილიან ოჯახებს. ესეც ხომ საქმეა?***

— მეოთხე შვილი შეგვეძინა იანვარში და, როგორც იქნა, სული მოვითქვით და, რაც მთავარია, გავიგეთ, რომ მეხუთე შვილზე 10 ლარია დანამატი. ახლა მე და ჩემი მეუღლე ვფიქრობთ, ამ 10 ლარის გულისთვის მეხუთეც ხომ არ გავაჩინოთ (იცინის). ეს ზუსტადაც რომ ძალიან კარგად აჩვენებს, ამ ქვეყანაში პრიორიტეტი რა არის. პრემია რომ ვერ მოიმატეს, იქ სპეცრაზმი შეიყვანეს და ქართველი ერის ამოწყვეტა რომ მიდის, მაგისთვის 20 ლარი გაიმეტეს.

***— გვესმის შეფასებები და ამას სოციალური ქსელიც აჩვენებს, რომ ყოველდღე იკლებს „ოცნების“ მხარდამჭერთა რიცხვი. საბოლოოდ როდის ამოიწურება „ოცნების“ ლიმიტი?***

— „ოცნების“ ლიმიტი უკვე ამოწურულია. დღეს „ოცნება“ არის იმ პერიოდში, რაც იყო შევარდნაძის და სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში. მაშინაც იყო რაღაც პერიოდი, როცა ალტერნატივა არ იყო. შევარდნაძის დროს, 1999-დან 2002 წლამდე პერიოდში იყო ასეთი ვაკუუმი და სააკაშვილის დროს 2010-2011 წლებში იყო ასეთი ვაკუუმი, როცა ხელისუფლება უდრიდა ნულს და ოპოზიციაც უდრიდა ნულს.





აი, ასეთი მოცემულობა არის ახლაც. დღის წესრიგში ის საკითხი კი არ დგას, „ოცნება“ როდის განულდება, ეს უკვე შემდგარი ფაქტია. დღის წესრიგში დგას ის საკითხი, რომელი ფრთიდან მოხდება „ოცნების“ დამხობა. ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

თვითონ „ქართული ოცნების“ შიგნით არიან ძალები, რომლებიც „ოცნების“ რეიტინგის კლებას გამოიყენებენ თავიანთი მომავალი პოლიტიკური გეგმებისთვის და შეეცდებიან, ნელნელა დაიწყონ „ოცნებისგან“ დისტანცირება. ეს პროცესები ღიად დაიწყება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. თუმცა მანამდეც გამოჩნდა რაღაც ნიშნები. უთანხმოებები დაფიქსირდა რამდენჯერმე, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კი მოხდება ღია გამიჯვნა.

***— შიგნიდან წამოვა ახალი ოპოზიცია?***

— დიახ, შიგნიდანაც წამოვა. ჯერჯერობით ძალიან ადრეა იმაზე ლაპარაკი, რომელი ოპოზიცია გამოდგება სიცოცხლისუნარიანი. ბრძოლა რომ დაწყებულია, ეს სრულიად აშკარაა და ბევრი პროცესი დღეს მიდის კულუარებში.

***— კერძოდ?***

— მაგალითად, ჩვენი მაყურებელი ხშირად ხედავს ტელევიზიით „ოცნებას“ ოპოზიციის წინააღმდეგ, სინამდვილეში კი ამ თამაშში კალაძე და ბოკერია ერთი ფრთაა. კალაძე-ბოკერიას ჯგუფი ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ერთი ჯგუფი.

***— კალაძემ დაახარისხა ოპოზიცია და „ევროპული საქართველოს“ მიმართ არც კომპლიმენტები დაიშურა.***

— დიახ, ასეა. მათ ჰყავთ თავისი მედიაპლატფორმა, თავისი სპონსორებიც ჰყავთ უკვე და ერთი ჯგუფი უკვე სახეზეა. ისინი შეეცდებიან, დასხდნენ ამ ლიბერასტულ პლატფორმაზე.

კულუარებში თამაშობს ღარიბაშვილიც, ის ჯერ ღიად არ გამოდის, ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ამჟამად კულუარებში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უფრო გახსნილ ფორმატს მიიღებს. შესაძლოა, არჩევნებამდეც ნაწილობრივ მოხდეს ამ ყველაფრის ლუსტრირება.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ კალაძე ბოკერიას გუნდთან ერთად მოიაზრება?***

— კი, ასეა. ეს უკვე ღია თამაშია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტვ პირველი არის მათი მედია. რუსთავი 2-ის ეთერი უკვე დაკარგეს, ის ნაციონალების კონტროლში დარჩა. ტვ პირველი კი იქნება კალაძე-ბოკერიას მთავარი მედიადასაყრდენი.

სპონსორებიც ჰყავთ — კეზერაშვილი, უგულავა და ასე შემდეგ. ვნახოთ, ყველაფერი წინ არის. უგულავას ეპატია 48 მილიონი. საუბარია, რომ შუალედურ არჩევნებზეც დაუთმონ უპირატესობა.

ეს არის ერთი ფლანგის თამაში. კალაძე, რა თქმა უნდა, ძლიერი ფლანგია „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ ის არ არის ერთადერთი. კალაძის გარდა, იქ არის სხვა ჯგუფებიც.

არის ღია პრორუსული ფლანგიც. არის ჩუგოშვილის სულ მცირე, მაგრამ ჯგუფი ლიბერალების. არის პორტირებული ნაცების დიდი ჯგუფი. საბოლოო ჯამში, ისინი როგორ გაიყოფიან და რა ჯგუფებში გაერთიანდებიან, ეს ყველაფერი დამოკიდებულია როგორც საპრეზიდენტო არჩევნებზე, ისე ივანიშვილის პოზიციაზე.



**„პრემია რომ ვერ მოიმატეს, ბორჯომში სპეცრაზმი შეიყვანეს და ქართველი ერის ამოწყვეტა რომ მიდის, მაგისთვის 20 ლარი გაიმეტეს“**

***— რა პოზიციას დაიჭერს ივანიშვილი?***

— დღეს მიმდინარეობს ივანიშვილის ნელ-ნელა ჩამოწერა და გაცნობიერება იმისა, რომ 2020 წელს შეიძლება ის აღარ იყოს ძირითადი აქტორი.

***— ანუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სერიოზულ პოლიტიკურ ძვრებს უნდა ველოდოთ?***

— როგორც მინიმუმ. ჩემი აზრით, რაღაც ძვრები მანამდეც გამოჩნდება. კალაძე-ბოკერიას ალიანსი საკმაოდ ღია განაცხადი იყო. საკმაოდ ღია ტექსტიც ითქვა. არ არის გამორიცხული, ასეთი ღია ტექსტით ღარიბაშვილიც გამოჩნდეს ავანსცენაზე. ანუ ღია პროცესები უკვე დაიწყება, რაც მიგვანიშნებს ძალიან ბევრ მიმართულებაზე. შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ტვ პირველის ეთერში მოხდა ბოკერია-კალაძის ახალი კოალიციის პრეზენტაცია. ბევრი მსგავსი პროცესია წინ.

## გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეზე პროკურატურამ გამოძიება ხელახლა დაიწყო



საქართველოს მთავარ პროკურატურაში შესაძლო ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, 2001 წლის 26 ივლისს მომხდარი ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა). ინფორმაციას ამის შესახებ მთავარი პროკურატურა ავრცელებს:

— საქართველოს პროკურატურის მიერ შესწავლილი იქნა პირველადი ინფორმაცია, მოხდა გასაუბრება მსჯავრდებულ კ.ც.-სთან, ასევე მოკლული ჟურნალისტის ოჯახის წევრებთან და იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა საქმეზე ადგილი ჰქონდეს ახლად გამოვლენილ გარემოებებს, გაჟღერებული ინფორმაციის ობიექტურად და სრულყოფილად გადამოწმების მიზნით, პროკურატურის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება გამოძიების დაწყების თაობაზე.

საქართველოს პროკურატურა ჩაატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას, ხოლო მიღებული შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას.

შეგახსენებთ, რომ ჟურნალისტ გ.ს-ს მკვლელობის ფაქტზე, 2001 წლის 05 დეკემბერს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა საქართველოს მოქალაქე გ.ხ., რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 09 ივლისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, 177-ე მუხლის პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით.

აღნიშნული განაჩენი განზრახ მკვლელობის ნაწილში უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ, — აღნიშნულია განცხადებაში.

## „ამდენი სიცრუე, თავზე ლაფის დასხმა, შეურაცხმყოფელია ჩემთვის“




ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე დავით მამისეიშვილი მოსამართლე ირაკლი შავაძის ბრალდებებს პასუხობს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მამისეიშვილმა შავაძეს წარუმატებელი მოსამართლე უწოდა.

— ვწუხვარ, რომ ასეთ საკითხებზე მიწევს საუბარი. ამდენი სიცრუე, თავზე ლაფის დასხმა, შეურაცხმყოფელია ჩემთვის. ტყუილია, რომ ართმელიძესთან დაკავშირებით რაიმე ზეწოლას ვახდენდი. ეს ისეთივე ტყუილია, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი იტყუებოდა. მამუკა ახვლედიანმა თქვა საჯაროდ, რომ თითქოსდა ართმელიძის საქმით დაინტერესებული ვიყავი. სწორედ ამიტომ საუბრობს ამ საქმეზე ირაკლი შავაძეც.

მე არ ვერეოდი საქმეთა განაწილებაში. რასაც ბატონი შავაძე ბრძანებს, არის გაბრაზებული კაცის პოზიციიდან ლაპარაკი, რადგან უვადოდ არ დაინიშნა. თვითონვე თქვა, რომ დანიშნულიყო, ამ ბრალდებებზე არ ისაუბრებდა. ტყუილია, თითქოს ვინმე ხელს უშლიდა, — განაცხადა მამისეიშვილმა.

## რა კავშირი აქვს ვასილ მაღლაფერიძის მძღოლს არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობასთან

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვანეს. არსებული ინფორმაციით, სპეცდანიშნულების რაზმების წარმომადგენლები ჩხრეკენ ახალგორში შემსვლელ და გამომსვლელ ავტომანქანებს და ადგილობრივ მოსახლეობას ეუბნებიან, რომ საგანგებო მდგომარეობა უკავშირდება რუსეთის პრეზიდენტის მოახლოებულ არჩევნებს და მოსალოდნელ პროვოკაციებს.

რადიო „თავისუფლების“ ცნობითვე, ოკუპირებული ახალგორის გამგებელმა, ფილიპ ხაჩიროვმა დაბის მოსახლეობა შეკრიბა და მიტინგი გამართა.

ხაჩიროვმა ახალგორელებს მოუწოდა, პროვოკაციის რისკის გამო სიფრთხილე გამოიჩინონ. მან ასევე განაცხადა, რომ არანაირი კონფლიქტი არ ჰქონია არჩილ ტატუნაშვილთან და მის გარდაცვალებასთან კავშირი არ აქვს.

...

იმ შემთხვევაში თუ რუსები უახლოეს დღეებში ტატუნაშვილის ცხედარს არ გადმოგვცემენ, ანტიოკუპაციური მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ საპროტესტო აქციების დაწყებას აპირებს.

მოძრაობის წევრები თბილისი-სტეფანწმინდა-ლარსის გზის გადაკეტვას გეგმავენ.

— ანტიოკუპაციური მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ პირველივე დღეებიდან აქტიურად მონაწილეობს და თავადაც უწევს ორგანიზებას სხვადასხვა ფორმის აქციებს არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემის მოთხოვნით, თუმცა მას შემდეგ, რაც არჩილ ტატუნაშვილის ოჯახმა გადაწყვიტა, დაელოდოს ცხედრის გადმოცემის მიზნით საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევის შედეგებს, „ძალა ერთობაშია“ თავს იკავებდა მწვავე საპროტესტო აქციების დაგეგმვისგან, აცნობიერებდა რა, რომ პირველ რიგში სწორედ ხელისუფლების ვალია, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს როგორც ცხედრის გადმოცემა, ასევე არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობაში მონაწილე პირების დასჯა, — აცხადებენ მოძრაობის წარმომადგენლები.

მათი აზრით, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს ეკისრება პასუხისმგებლობა როგორც ტატუნაშვილის მკვლელობაზე, ასევე მისი ცხედრის გადმოცემის გაჭიანურებაზე. ვარაუდობენ, რომ რუსეთი მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს, რათა პროცესი მაქსიმალურად გაიწელოს.

— ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები ჩვეული სტილით მოქმედებას აგრძელებენ და 1 მარტს კიდევ ერთ ოკუპირებულ რეგიონში — აფხაზეთში საქართველოს მოქალაქე მალხაზ წურწუმია გაიტაცეს, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაავრცელეს განცხადება, რომ ახალგორში თითქოსდა ნაპოვნი თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, შესაძლოა, არჩილ ტატუნაშვილის დამონტაჟებული ყოფილიყო. ეს „ახალი“ გარემოება შემთხვევითი არ არის, რადგან რუსეთის ფედერაციაში მოქმედი კანონით, ტერორიზმში ბრალდებულის ცხედარი ოჯახს არ უბრუნდება, — აცხადებენ ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მათი განცხადებით, შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალია. გამოსავალი კი მათი აზრით, შემდეგშია:

— ამ პირობებში ერთადერთი, რამაც საოკუპაციო რეჟიმი, შესაძლოა, აიძულოს არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემის პროცესი დააჩქაროს, ახალგორში დატყვევებულ კიდევ ორ საქართველოს მოქალაქეს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლის უფლება მისცეს და 1 მარტს ენგურის ხიდიდან გატაცებული მალხაზ წურწუმია გაათავისუფლოს, სწორედ საპროტესტო აქციებია, თბილისი-სტეფანწმინდა-ლარსის გზის გადაკეტვისა და ლარსის გავლით შემოსული ტრანზიტული ტვირთების ბლოკირების ჩათვლით, რაც რეალურად, დისკომფორტის შემქმნელი იქნება რუსეთისთვის.

აქედან გამომდინარე, მოძრაობა აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ უახლოესი დღეების განმავლობაში არ მოხდება არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემა ან არ გაირკვევა გადმოსვენების ზუსტი თარიღი, „ძალა ერთობაშია“ დაიწყებს საპროტესტო აქციების ორგანიზებას თბილისი-სტეფანწმინდა-ლარსის გზაზე და სხვა ლოკაციებზე, რუსეთიდან შემოსული ტრანზიტული ტვირთებისა და რუსეთიდან შემოსული საქონლის ბლოკირების მიზნით.

# საოკუპაციო რეჟიმს საქართველოს მოქალაქეები უკანონოდ შიდა პატიმრობაში ჰყავს

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველმა გიორგი თევზაძემ ცხინვალში საოკუპაციო რეჟიმის მიერ არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის გამო საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართა.**

გიორგი თევზაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის მიერ ქართველების მიმართ წლების მანძილზე ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედებები, ილახება ადამიანის უფლებები, ადგილი აქვს ადამიანთა წამებას, არაადამიანურ მოპყრობასა და მკვლელობებს.

გიორგი თევზაძის განცხადებით, ცხინვალში ქართველი ვაჟკაცის არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობა ვანდალური ქმედებაა და წარმოადგენს ეთნიკურად ქართველების მიმართ განხორციელებული ეთნოწმენდის გაგრძელებას. რასაც შესაბამისი შეფასება და რეაგირება უნდა მოჰყვეს ავტორიტეტულ საერთაშორისო ინსტიტუტებისა და დემოკრატიული სახელმწიფოების მთავრობებისაგან.

***— ბატონო გიორგი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გრძელდება ქართველების მკვლელობები. მოგეხსენებათ, ერთი კვირაა ჩვენი თანამემამულე მოკლეს და ცხედარსაც არ გვაძლევენ. თქვენი შეფასება როგორია?***

— რუსეთს აგრესიული ქმედებები საქართველოს მიმართ, კერძოდ, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში გუშინ და დღეს არ დაწყებულა. რუსეთმა 1992-93 წლებში მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია და განახორციელა ეთნიკურად ქართველების ეთნოწმენდა, აფხაზეთიდან 300 ათასზე მეტი ეთნიკურად ქართველი საკუთარ სამშობლოში დევნილად აქცია, წვავდნენ და ანგრევდნენ ქართველების საცხოვრებელ სახლებს, აწამებდნენ და ხვრეტდნენ მხოლოდ ეთნიკურად ქართველებს. რუსეთის დუმის წევრს, ჟირინოვსკის ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში წამოსცდა, თუ როგორ თამაშობდნენ გაგრის სტადიონზე აფხაზები ქართველების თავებით. ამან თვითონ აფხაზებშიც უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან ისინი ამ სამარცხვინო და ვანდალურ ფაქტს საგულდაგულოდ მალავენ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე. ტატუნაშვილის მკვლელობის ფაქტს, რაც მოხდა, რამდენიმე დღის წინ ოკუპირებულ ცხინვალში (სამაჩაბლოში) საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მკაცრი შეფასება უნდა მიეცეს.

მომხდარი უნდა შეფასდეს, როგორც ქართველი ერის წინააღმდეგ ქართველთა მიმართ ეთნიკური წმენდის გაგრძელებად. მთელი პასუხისმგებლობა რუსეთს და მის მიერ მარიონეტულ სეპარატისტულ რეჟიმს უნდა დაეკისროს. მარიონეტული ხელისუფლება დღემდე არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემაზე უარს აცხადებს, რაც კიდევ უფრო ამყარებს საფუძვლიან ეჭვს, რომ იგი სასტიკი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად მოკლეს.

***— ისე, ტატუნაშვილის სახლი და სამკვიდრო ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ახალგორის რაიონშია. ყველა შემთხვევაში არანაირად არ იყო მისი ახალგორში ყოფნა დარღვევა, რადგან ადამიანი თავის სახლ-კარში იყო.***

— სამაჩაბლო საქართველოს განუყოფელი ნაწილია. სამწუხაროდ, ეს ტერიტორია დღეს დროებით რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ჩვენ ცხინვალის ე.წ. მარიონეტულ ხელისუფლებას არ ვცნობთ. მავთულხლართების გაბმა, ფაქტობრივად, რუსეთის მხრიდან ძალის დემონსტრირებაა.

გერმანიაში მეოცე საუკუნის ბოლოს ბერლინის კედელი დაინგრა. მე გახლდით გერმანიაში და იქ მანახეს ის ქუჩა, სადაც იყო აგებული კედელი, რომელიც ყოფდა ორ გერმანიას. მწამს დადგება დრო, საქართველო გაერთიანდება, ისე, როგორც ბერლინის კედელი დაინგრა და გერმანია გაერთიანდა. ღვთის წყალობით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნდება.

***— მანამდე ამ ტერიტორიებზე ქართველების მკვლელობები და ეთნოწმენდა გრძელდება.***

— დიახ, არა მარტო კლავენ ქართველებს, შეურაცხყოფენ ქართველთა სალოცავებს, რუსები ღებავენ ჩვენს ტაძრებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ანუ აფხაზეთში ქართული ეკლესიების გადაკეთება ხდება, რაც ახლა არ დაწყებულა, ის ჯერ კიდევ 1800 წლის 22 დეკემბრიდან დაიწყო, როცა იმპერატორმა პავლე I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების მანიფესტს ხელი მოაწერა, რითაც უხეშად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და მოახდინა დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ქართლ-კახეთის ანექსია. პირველი ოკუპაციის პერიოდიდან, რუსეთი საქართველოს მიმართ მიდგომებს არ ცვლის.

***— რანაირი ქრისტიანები არიან, როცა ადამიანი მოკლეს და ახლა ცხედარსაც არ გვაძლევენ, გვაწვალებენ?***

— გარდაცვლილის პატივისცემა თითოეულ ჩვენთაგანში დევს. არ ვიცი, რა კატეგორიებით მსჯელობენ, მაგრამ მაინც რუსეთზე არიან დამოკიდებულები. თვითონ ფაქტი ძალიან ვანდალური და აღმაშფოთებელია. საერთაშორისო ორგანიზაციებს წერილობით მივმართე, აქტიურად ჩაერთონ პროცესში. „ჰუმან რაით ვოტჩმა“ გააკეთა განცხადება და გამოთქვა მზადყოფნა, ჩაერთოს პროცესში. საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ძალიან კარგი გამოხმაურება იყო. საოკუპაციო რეჟიმის ნებისმიერ დარღვევაზე თუ მსგავს ვანდალურ ფაქტზე საერთაშორისო საზოგადოების ასეთი გამოხმაურება აუცილებელია. 2012 წლამდე საოკუპაციო ხაზთან პატრულირება ხორციელდებოდა. მოსახლეობა, გარკვეულწილად, დაცული იყო.

***— პატრულირება ახლაც ხდება. უბრალოდ, ტატუნაშვილი და კიდევ ორი პიროვნება გადასული იყო საოკუპაციო ხაზის იქით, ახალგორში. მათ ჰქონიათ შესაბამისი დოკუმენტები (საშვები) ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესასვლელად.***

— საოკუპაციო ხაზის გასწვრივ პატრულირებაც აუცილებელია, რომ გატაცების ფაქტები არ მოხდეს. ჩემი ინფორმაციით, ახლა პატრულირება ნაკლებად თუ, საერთოდ, არ ხორციელდება. საოკუპაციო ხაზის გასწვრივ პატრულირება ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა ხორციელდებოდეს საერთაშორისო სადამკვირვებლო ჯგუფის წევრებთან ერთად. ტატუნაშვილის მკვლელობა პირველი შემთხვევა არ არის. აფხაზეთის საოკუპაციო ზოლთან ე.წ. აფხაზი მესაზღვრე რომ გადმოვიდა, დამიზნებით ესროლა ოთხოზორიას და წავიდა, დამნაშავე დღემდე არ დასჯილა. მოვითხოვთ, დაისაჯონ ის პირები, ვისაც ბრალი მიუძღვით ტატუნაშვილისა და ოთხოზორიას სიცოცხლის ხელყოფაში.

***— არსებულ ვითარებაში ხელისუფლებამ რა შეიძლება მოიმოქმედოს? ზოგი ამბობს, ლარსის ჩაკეტვა შეიძლებაო.***

— ჯერ უნდა არსებობდეს ხელისუფლების პოლიტიკური ნება. მხოლოდ ლაპარაკი და განცხადებები არ კმარა.

***— რისი პოლიტიკური ნება უნდა იყოს?***

— ხელისუფლებამ უნდა გათვალოს და მშვიდობიანი გზით იმოქმედოს, მომხდარი ფაქტი საერთაშორისო ინსტიტუტების, გაეროს, ევროსაბჭოსა და ეუთოს მსჯელობის საგანი გახადოს, რათა რუსეთი აიძულონ, შეუშვას საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ოკუპირებულ ცხინვალში, რომ მონიტორინგი განახორციელონ.



***— ცოტა ხნის წინ, საქართველო დათანხმდა და ხელი მოაწერა შეთანხმებას როკის გვირაბის გახსნასა და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით (ცხინვალის გზით) რუსეთის ტვირთების გადაზიდვას სომხეთში. ესეც ხომ არ არის ბერკეტი, თუ არ გვაძლევენ ცხედარს, არ გავატაროთ ტვირთები?***

— ყველა ბერკეტი შეიძლება იქნას განხილული, ისე, რომ საქართველოს ინტერესები არ დაზარალდეს.

***— მგონი, აღნიშნული შეთანხმება 2011 წლის შეთანხმების საფუძველზე დაიდო?***

— დიახ. როცა რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრიანდებოდა, აუცილებელი იყო საქართველოს თანხმობა, რის შემდგომ შედგა შეთანხმება. ბოლო დროს თითქოს რაღაც პუნქტები შეიცვალა, რაზეც საზოგადოება არ არის ინფორმირებული, ძალიან კარგი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება ხელშეკრულების ბოლო ტექსტს გაასაჯაროვებს. მით უმეტეს, ეს რაიმე საიდუმლო დოკუმენტს არ წარმოადგენს.

***— საკითხავია, რატომ არ აძლევენ ტატუნაშვილთან ერთად ორ დაკავებულ პირს ოკუპირებული ტერიტორიის დატოვების უფლებას?***

— საოკუპაციო რეჟიმს საქართველოს მოქალაქეები, ფაქტობრივად, უკანონოდ შიდა პატიმრობაში ჰყავს.

***— ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი ვითომდა ტერორიზმთან დაკავშირებით ე.წ. გამოძიებას აწარმოებს.***

— ეს არის აბსურდის სპექტაკლის გაგრძელება. მათ ცრუ ბრალდებები აქვთ წაყენებული. ოკუპანტებს ნებისმიერი რაღაცის დაბრალება შეუძლიათ. როგორც რუსეთი, ასევე მისი მარიონეტული, ე.წ. ხელისუფლება, ჩაყენებულები არიან თავის მართლების პოზიციაში.

საერთაშორისო საზოგადოება შეშფოთებას გამოხატავს მომხდარის გამო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. უფრო მეტი მექანიზმი უნდა იყოს ამოქმედებული, რადგან როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე საოკუპაციო ზოლთან საქართველოს მოქალაქეების უფლებები ირღვევა.

მათ წაართვეს საკუთრება, შეზღუდული აქვთ გადაადგილების უფლება, ლოცვის უფლება. ოკუპაციის ხაზს იქით მოხვდა ქართველთა სალოცავები. ადამიანებს ეკლესიაში სალოცავად არ უშვებენ. ქართველები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ახლობლების, ოჯახის წევრების საფლავებზე ვერ მიდიან. ამაზე მეტი საერთაშორისო ნორმების დარღვევა რა შეიძლება იყოს. ამიტომ, როდესაც საქართველო აკეთებს განცხადებას, აპელირება უნდა გააკეთოს იმაზე, რასაც ჩადის რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მხარე რუსეთია, რუსეთის გარეშე ოკუპირებულ ტერიტორიაზე არაფერი ხდება.

***— რაც ხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იმის პასუხისმგებლობაა, ვინც ახორციელებს კონტროლს მოცემულ ტერიტორიაზე.***

— კონტროლს რუსეთი ახორციელებს და რუსეთის პასუხისმგებლობაა. რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკის გამო, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებული სოფლების მოსახლეობაც საშინელ დღეშია, დაუცველია. ადამიანებს იტაცებენ და ცხინვალში მიჰყავთ. ახლა არ ვიცი, მაგრამ იყო პერიოდი, როცა ადამიანებს წყალი, გაზი და შუქი არ ჰქონდათ.

***— ახლა, მგონი, ეგ პრობლემა მოგვარებულია.***

— ამ ხალხმა ძალიან ბევრი უბედურება გამოიარა, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას ხელისუფლებისაგან მხარდაჭერა სჭირდება. ისინი ცოცხალი მესაზღვრეები არიან. ხელისუფლებამ ეს უნდა დაინახოს და სოციალური პროგრამები უნდა შექმნას. საკუთარ თავზე კი არ უნდა იფიქროს, არამედ ამ ადამიანების კეთილდღეობაზე. ერთმა მითხრა, ლტოლვილი ვიყავი და საერთაშორისო ორგანიზაციები საკვებს იქაც კი მიგზავნიდნენო. დღეს ისინი საოკუპაციო ხაზთან გაცილებით დიდ საქმეს აკეთებენ, ვიდრე ოდესმე ვინმეს გაუკეთებია.

ჩვენი ხელისუფლებისა და საერთაშორისო ექსპერტების მიკვირს, ამ ტერიტორიას თავის სახელს, სამაჩაბლოს რომ არ უწოდებენ. „სამხრეთ ოსეთი“ ბუნებაში არ არსებობს. მოგეხსენებათ, რუსეთმა ამ ტერიტორიაზე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ 1922 წლის 20 აპრილს უკანონოდ შექმნა, რომელიც კანონის სრული დაცვით და საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით 1990 წლის 11 დეკემბრის გაუქმდა.

***— თავის დროზე ელცინმა და გამსახურდიამ ყაზბეგში ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლითაც, ფაქტობრივად, რუსეთმა აღიარა ოლქის გაუქმება.***

— ამიტომ ეს ტერიტორია უნდა მოვიხსენიოთ ცხინვალის რეგიონად, სამაჩაბლოდ, ან შიდა ქართლად. არავითარი „სამხრეთ ოსეთი“ არ არსებობს. რუსეთმა თავისი მზაკვრული გეგმების გამო, სამაჩაბლოს „სამხრეთ ოსეთი“ შეარქვა. მეოცე საუკუნის დასაწყისში ცხინვალში სულ რამდენიმე ოსური ოჯახი ცხოვრობდა. ჩვენ, საერთოდ, ჰუმანური ხალხი ვართ, ყველა გვეცოდება და ყველას მეგობრობის ხელს ვუწვდით. ეს ძალიან კარგი თვისებაა, მაგრამ შემდეგ ჩვენი სიკეთე ზოგჯერ ცუდადაც გვიბრუნდება. რომ არა რუსეთის ფაქტორი, ჩვენ ოსებთან ძალიან კარგი, მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა გვქონდა და მუდამ ასე გაგრძელდებოდა. მე ვსაუბრობ იმ ჯგუფზე, რომელიც ცხოვრობდა სამაჩაბლოში და რომლებიც რუსეთის წაქეზებით დაგვიპირისპირდა.

## თუ ობიექტები სავალდებულო დაზღვევას არ დაემორჩილებიან, მათ სანქციები დაეკისრებათ



იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ობიექტები სავალდებულო დაზღვევას არ დაემორჩილებიან, მათ სანქციები დაეკისრებათ, — განაცხადა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის ხელმძღვანელმა კოტე სულამანიძემ პირველი არხის გადაცემაში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ სტუმრობისას.

— სანქციები ადმინისტრაციული ჯარიმის კუთხით არის, რაც საკანონმდებლო დონეზე უნდა დამტკიცდეს. თუ პოლისის შეძენა არ მოხდა, პირველ ჯერზე, სუბიექტი 1.000 ლარით ჯარიმდება, ხოლო განმეორების შემთხვევაში ჯარიმა ყოველ ჯერზე 5 000 ლარია, — განაცხადა სულამანიძემ.

მისი თქმით, სავალდებულო დაზღვევაში ჩაერთვება დაახლოებით 120 სასტუმრო, სადაც 100 და მეტი საწოლ-ადგილია, 220 რეგისტრირებული ბაზრობა და 1.900 ავტოგასამართი სადგური, რომელთა 30%-ს მსგავსი ტიპის დაზღვევა ისედაც ნებაყოფლობით ჰქონდა.

გადაცემის წამყვანის შეკითხვაზე, იგეგმება თუ არა იმ ობიექტების სპექტრის გაფართოება, რომელთა დაზღვევაც პირველი მარტიდან სავალდებულო ხდება, კოტე სულამანიძემ აღნიშნა, რომ სოციალურად მნიშვნელოვანი თემებიდან გამომდინარე, სამომავლოდ, ობიექტების წრის გაფართოება იგეგმება.

— მათ შორის, შესაძლოა, იყოს კინოთეატრები, ბარები, კლუბები, რესტორნები, ავტობაზრობები, აგრარული ბაზრები და ა.შ. თანმიმდევრულად ამ წრეს კიდევ უფრო გავამდიდრებთ, — განაცხადა კოტე სულამანიძემ.

# თაფლის ექსპორტი 78,3%-ით შემცირდა

ბოლო სამ წელიწადში საქართველოდან ნატურალური თაფლის ექსპორტი 78,3%-ით შემცირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015 წელს საქართველოდან ექსპორტზე – 73,1 ათასი დოლარის ღირებულების თაფლი გავიდა, 2016 წელს – 21, 2 ათასი დოლარის, 2017 წელს კი მხოლოდ 15, 8 ათასი აშშ დოლარის, რაც ბოლო წლებში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. რაც შეეხება 2018 წელს, იანვარში ექსპორტზე 0,1 ათასი დოლარის ღირებულების ნატურალური თაფლი გავიდა.



თაფლის ექსპორტის მკვეთრი შემცირების ფონზე, თურქეთში, სადაც თაფლზე მოთხოვნა დიდია, ქართველებისთვის საექსპორტო კვოტები გაიზარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის არსებული შეთანხმების გაფართოების ფარგლებში იქნა მიღებული. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განმარტა, კვოტების გაზრდის შედეგად თურქეთში ქართული თაფლის ექსპორტი 20%-ით გაიზრდება.

ამ დრომდე 2007 წელს ორ ქვეყანას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქტებზე დაწესებული კვოტა 200 ტონას შეადგენდა, თუმცა ქართველი მწარმოებლები კვოტას ვერ ითვისებდნენ და თურქეთში თაფლი, ფაქტობრივად, ვერ გაჰქონდათ. თაფლის კომპანიები მთავარ მიზეზად თურქეთში პროდუქციის შეტანაზე დაწესებულ მაღალ გადასახადს ასახელებდნენ.

თაფლის ექსპორტი დაშვებულია ევროკავშირშიც. თუმცა სტატისტიკური მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა ამ შესაძლებლობას ვერ იყენებს და თაფლის ექსპორტი მაქსიმალურად მცირდება.

როგორც თაფლის მწარმოებლები „ბიზნესპრესნიუსთან" აცხადებენ, ქართულ თაფლზე კვოტის გაზრდა კარგია, თუმცა კვოტას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან თაფლის გატანას გართულებული საბაჟო პროცედურების გამო მაინც ვერ ახერხებენ. ისინი ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ პარტნიორ ქვეყანასთან სწორედ აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებები გამართოს.

თაფლის კომპანია „ბრეტის" გენერალური დირექტორის გიორგი კეპაშვილის განცხადებით, მაღალი გადასახადის გარდა, თურქეთში ქართული თაფლის შეტანას ისიც ართულებს, რომ თურქული მხარე თაფლის მაღალ ხარისხს ითხოვს, საქართველოში კი კვალიფიციური ლაბორატორია არ გვაქვს.

— პირველი ხელშეკრულების გაფორმების და კვოტების დაწესებიდან დღემდე არცერთი გრამი თაფლი არ გასულა. ჩვენ ვნახეთ პარტნიორი თურქეთში, რომელმაც გამოხატა სურვილი თაფლის ყიდვის. თუმცა მან თურქეთში სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან თანხმობა ვერ მიიღო. ამდენად, საქართველოდან თურქეთში თაფლი მხოლოდ არალეგალურად გადის. ჩემთვის, როგორც მწარმოებლისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, კვოტა რამდენი იქნება. ბოლო 10 წელია ვხედავ, რომ ჩვენი ქვეყანა ამ საკითხს ვერ აგვარებს. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მეშვეობით ვცდილობდი ხმა მიმეწვდინა მთავრობამდე, მაგრამ შედეგი არ დადგა, საქართველოდან თაფლი არ გასულა. სასაცილოა, კვოტის გაზრდა მაშინ, როდესაც ისიც არ აგვითვისებია, რაც აქამდე იყო დაწესებული.

კიდევ ერთი მიზეზი არის ის, რომ საქართველოში ისეთი ლაბორატორია, რომელიც თაფლს კვალიფიციურად გამოიკვლევს, არ არსებობს. ამის შესახებ იცის თურქეთმა და ამიტომაც ართულებს საქართველოდან თაფლის გატანის პროცედურებს, — განმარტავს გიორგი კეპაშვილი.

თაფლის მწარმოებელი კომპანია „ფეფეს" დამფუძნებელი გიორგი ტატიშვილი კი „ბიზნესპრესნიუსთან" აღნიშნავს, რომ თურქეთში თაფლის გატანაზე სირთულეების არსებობის გამო, უკეთესი იქნება, თუ მოინახება ახალი ბაზრები, მათ შორის აზიის ქვეყნები, სადაც თაფლს გაიტანენ.

— თურქეთში ფაქტია, რომ თაფლი ვერ გადის. ისინი საკუთარ ბაზარს აკონტროლებენ, მათ შორის ხარისხს. განბაჟების ტარიფი აქვთ იმდენად დიდი, რომ რაც უნდა შეიტანო, მოგებას ვერ ნახავ. საბაჟო გადასახადი რომ დაიწიოს, ჩვენმა მთავრობამ თურქეთთან ამ საკითხზე უნდა იმსჯელოს, თორემ მხოლოდ კვოტების გაზრდა ხელშეწყობას არანაირად არ ნიშნავს.

ჩვენ თაფლს მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე ვყიდით, თუმცა ვაპირებთ აზიაში, კერძოდ სამხრეთ კორეაში გატანას. მათი მხრიდან არის დაინტერესება და უახლოეს წლებში გავიტანთ, როცა შესაბამისი რაოდენობის თაფლი გვექნება. ზოგადად აზიის ქვეყნები საექსპორტოდ კარგია, დეტალური ანალიზის მოთხოვნები არ აქვთ, მათთვის მთავარია ნატურალური თაფლი იყოს. ვფიქრობ, აზიის ქვეყნების ბაზრებით დაინტერესება უნდა მოხდეს, — აცხადებს გიორგი ტატიშვილი.

ლანჩხუთის თაფლის საწარმოს ხელმძღვანელი თამაზ ღლონტიც იგივე პოზიციას იზიარებს, რომ თურქეთისა და საქართველოს მხარეები მხოლოდ კვოტების გაზრდაზე კი არა, საბაჟო გადასახადის შესახებაც უნდა შეთანხმდნენ. ასევე, აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ მეფუტკრეობას ხელი უნდა შეუწყოს, რათა იმ რაოდენობის თაფლი იყოს ქვეყანაში, რომ ექსპორტზე გავიდეს.

— წელს ფაქტობრივად, თურქეთში თაფლი არ გასულა, გამკაცრებული საბაჟო კონტროლის გამო. თუმცა არაკანონიერი გზით აქამდე მაინც გადიოდა და ახლაც გადის. თუ გამარტივდება პროცედურები, თურქეთში გავიტან, მაგრამ ამ ეტაპზე შეუძლებელია. გარდა ამისა, არის მეორე პრობლემაც. ჩემი პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე იყიდება. იმდენი არ მაქვს, რომ ექსპორტზე გავიტანო. ასევე არიან სხვა მწარმოებლებიც. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო წაახალისებს ქართულ მეფუტკრეობას, თაფლის წარმოებას, რომ წარმოების რაოდენობა გაიზარდოს და ექსპორტზე გავიდეს, — აცხადებს თამაზ ღლონტი.

# დაგროვებითი საპენსიო სისტემა სავალდებულო იქნება



მთავრობა საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებას არ აპირებს. როგორ გადაცემა „ანალიტიკის" პირდაპირ ეთერში ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ეკა მიქაბაძემ განაცხადა, ხელისუფლება დაგროვებითი საპენსიო სისტემის სავალდებულოობის გადახედვას არ განიხილავს.

— საშემოსავლო გადასახადის შემცირება და სისტემის სავალდებულოობის გადახედვა გამორიცხულია, — განაცხადა ეკა მიქაბაძემ.

ეკონომიკის მინისტრის მოადგილის განაცხადებით, საპენსიო შენატანი გადასახადი არ არის არც OECD-ის განმარტებისა და არც საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით.

— საპენსიო შენატანი როგორც გადასახადი არ უნდა განვიხილოთ. გადასახადი არის უპირობო შენატანი ბიუჯეტში მოქალაქის მიერ. საპენსიო შენატანი კი წარმოადგენს დასაქმებულის დანაზოგს, რომელიც მასვე მოხმარდება, — განმარტა გადაცემა „ანალიტიკის" ეთერში ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ.

მისივე თქმით, კიდევ რამდენიმე მიზეზი არსებობს, თუ რატომ არ უნდა ჩაითვალოს გადასახადად საპენსიო შენატანი. კერძოდ: ადმინისტრირება მიმდინარეობს საპენსიო სისტემის კანონის მიხედვით; საპენსიო შენატანი კი პირდაპირ გადავა საკუთრებაში და ის აისახება პირის საპენსიო ანგარიშზე – შესაბამისად არანაირი შეხება არ ექნება ბიუჯეტთან და ხაზინასთან.

— დამსაქმებლისთვის ეს არის იმ სოციალური პასუხისმგებლობის გაზიარება, რომელიც აუცილებელია ეკონომიკის განვითარებისთვის, — აღნიშნავს მინისტრის მოადგილე.

# „ლარი, შესაძლოა, ნებისმიერ დროს გაუფასურდეს და ამას ვერ შეცვლით"



მსოფლიო ბანკი 2020 წლამდე საქართველოში საშუალოდ 5%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს. ამასთან, ბანკის პროგნოზით, წლის ბოლომდე ინფლაცია ეროვნული ბანკის სამიზნე – 3%-იან მაჩვენებელს დაუბრუნდება, ხოლო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კი 2020 წლისთვის 9%-მდე შემცირდება.

მიმდინარე წლისთვის ბანკი საქართველოს ეკონომიკის 4,3%-ით ზრდას ელოდება, მომდევნო წელს – 4,6%-ით, ხოლო 2020 წელს – 5%-ით. მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი გაუმჯობესებულ მაჩვენებლებს უმეტესად გაზრდილ ექსპორტს უკავშირებს. ჰანს ტიმერი BMG-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ საქართველოში ეკონომიკის ზრდა საშუალოდ 4-5%-ია, რაც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

— ვხედავთ ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესებას, ასევე საკმაოდ დიდი ზრდა დავინახეთ ექსპორტში. ეს კი დაკავშირებულია ერთ საკითხთან რომელიც საქართველოში საკმაოდ არაპოპულარულია – ლარის გაუფასურებასთან. ლარის გაუფასურება გარდაუვალი იყო. მაკროეკონომიკურ ჭრილში კვლავ ვხედავთ მსხვილ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. იმპორტი კვლავ დიდია ქვეყანაში. რაც შეიძლება იყოს ელექტროენერგიის იმპორტითაც გამოწვეული, რომელიც საქართველოში იზრდება.

ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა, რაც გაზრდის ნდობას ეროვნული ვალუტის მიმართაც.

ეს არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო პირობების გათვალისწინებით კურსი ყოველთვის ერთნაირი იქნება, – ის იქნება დამოკიდებული საერთაშორისო შოკებზე, მაგალითად როგორიც იყო ნავთობის ფასები 2014 წელს. ლარი, შესაძლოა, ნებისმიერ დროს გაუფასურდეს და ამას ვერ შეცვლით, როგორიც არ უნდა იყოს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, – ამბობს ჰანს ტიმერი.

# ერთი წლის განმავლობაში სურსათის ფასი 3,4%-ით გაიზარდა



საქსტატის ანგარიშის მიხედვით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 2018 წლის თებერვალში 2.7% შეადგინა.

ინფლაციის მაჩვენებელზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა სურსათზე ფასების 3.4%-იანმა მატებამ გამოიწვია. ფასები გაზრდილია ყველსა და კვერცხზე – 6.2%-ით. ხორცპროდუქტებში ფასები 3.9%-ითაა გაზრდილი.

4,3%-ით არისის გაზრდილი ფასები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ფასები გაზრდილია ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე – 4.3%-ით, სამედიცინო აპარატურასა და მოწყობილობებზე – 5.7%-ით პროცენტით, ხოლო საავადმყოფოს მომსახურების ღირებულება – 2.6%-ით.

თამბაქოს ნაწარმის ღირებულება 11.8%-ით არის გაზრდილი.

ტრანსპორტის ფასები მომატებულია 2.9%-ით. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო მომსახურებაზე (4,3 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3,9 პროცენტი).

**კომერსანტი**

# უჩა სეთური: „მივიღეთ მონოპოლისტების დიქტატი მათ სახელმწიფოს ტარიფები გააზრდევინეს"

— მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი უჩა სეთური მიიჩნევს, რომ მაგთიმ და ჯეოსელმა სახელმწიფოს ტარიფების გაზრდა აიძულეს.

მივიღეთ მონოპოლისტების დიქტატი. მათ შემსყიდველს ახალი პირობები უკარნახეს და ტენდერის ფასები გააზრდევინეს, — აცხადებს სეთური bm.ge-სთან საუბრისას.

მისი აზრით, პრობლემას ქმნის ის, რომ არ ვიცით, როგორია ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფი სინამდვილეში არც საცალო და არც საბითუმო ბაზარზე.

— საინტერესოა, როგორ მოხდა, რომ 5 წლის განმავლობაში ეს ფასები მისაღები იყო და დღეს, როცა მთელ მსოფლიოში ინტერნეტის ფასები მცირდება, უკვე მიუღებელი აღმოჩნდა. გაზრდილია მობილური ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, გაზრდილია ტრაფიკი, რის გამოც უნდა შემცირებულიყო საბითუმო ხარჯები და აღმოჩნდა, რომ გაეზარდათ. ველარ ვხვდები რა ხდება ბევრი კითხვაა. მარეგულირებელი კომისიის ადგილას რომ ვიყო პასუხი მექნებოდა, — აღნიშნა უჩა სეთურმა.

მისი თქმით, დასარეგულირებელია ინტერნეტის როგორც საბითუმო, ისე საცალო ბაზარი, ეს კი მარეგულირებელი კომისიის პრეროგატივაა.

შეგახსენებთ, რომ შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ხელახალ ტენდერში, სადაც მობილური ინტერნეტის ფასები, ჩაშლილ ტენდერთან შედარებით გაზრდილია, სამივე მობილური ოპერატორი გამარჯვებულად დასახელდა. ამასთან მეორე ტენდერში მაგთიმ და ჯეოსელმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს მონაწილეობა, რაც სახელმწიფოს შეთავაზებული ფასები შეიცვალა.

# კახა კალაძე: „ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ „შტადლერის" საწარმო საქართველოში გადმოვიდეს"



— ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ „შტადლერის" საწარმო საქართველოში გადმოვიდეს.

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს საქმიანობის 100 დღის ანგარიშის წარდგენის შემდეგ განუცხადა.

კალაძის თქმით, „შტადლერთან" მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

— „შტადლერთან" მოლაპარაკებები მიმდინარეობს იმაზე, რომ ვაგონების წარმოება – აწყობა მოხდეს საქართველოში. საუბარია როგორც მეტროს, ასევე სარკინიგზო ვაგონებზე. თუ ჩვენ ამ მოლაპარაკებებს წარმატებით დავასრულებთ, მგონია, რომ ეს ჩვენი ქვეყნისთვის იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი, რომ „შტადლერის" ვაგონების წარმოება მოხდება საქართველოში და ის მოემსახურება არა მხოლოდ შიდა აუცილებლობას, ასევე მოხდება მისი ექსპორტი რეგიონში და სხვა ქვეყნებშიც, – განაცხადა კალაძემ.

გარდა ამისა, კალაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ავტობუსების საქართველოში აწყობასთან დაკავშირებითაც.

— ჯერ ეს მოლაპარაკებები არ არის დასრულებული, თუმცა, გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით ინტერესის თვალსაზრისით. რაც შეეხება „შტადლერთან" მოლაპარაკებებს, ძალიან დიდია ალბათობა, რომ ამ საწარმოს გადმოტანა მოხდეს საქართველოში. ავტობუსებს რაც შეეხება, ინტერესი არ აქვთ ჯერჯერობით, საწარმოს გადმოტანის, – განაცხადა კალაძემ.

## მძახალმა მძახალს სახლი წაართვა — გამოსახლება ბოდბისხევში



სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბისხევში აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ალადაშვილების ოჯახი საცხოვრებელი სახლიდან გამოასახლა. ალადაშვილებმა მამაპაპეული საცხოვრებელი სახლი მძახლებთან ოჯახური კონფლიქტის შედეგად დაკარგეს. ოჯახის უფროსი ბესიკ ალადაშვილი ამბობს, რომ მისმა მძახალმა სახლი მოტყუებით დაისაკუთრა. წლების წინ ბესიკ ალადაშვილმა მის მძახალს, დავით ობოლაშვილს სახლი საკუთარი სურვილით იმ მიზეზით გადაუფორმა, რომ საბანკო დავალიანების გამო ბინა არ დაეკარგა.

კონფლიქტი მძახლებს შორის მას შემდეგ დაიწყო, რაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა. სასამართლომ 6 წლის გოგონაზე მეურვეობა ოჯახის უფროსს, ბესიკ ალადაშვილს დააკისრა. სწორედ ეს გადაწყვეტილება გახდა მწვავე დაპირისპირების მიზეზი.

ღია ცის ქვეშ დარჩენილი ოჯახი მძახლების გაღიზიანებას სწორედ ამ ფაქტს უკავშირებს და ამბობს, რომ ობოლაშვილებმა ბინის დასაკუთრება იმ მიზეზით გადაწყვიტეს, რომ უსახლკაროდ დარჩენილ მეურვეებს სასამართლო ბავშვს აღარ მიაკუთვნებდა. აღნიშნულ ბრალდებებს ობოლაშვილები უარყოფენ და გადაწყვეტილების შეცვლის შემთხვევაში დავას სასამართლოში განაგრძობენ.

მიუხედავად იმისა, რომ აღსრულების ბიურომ დავით ობოლაშვილს ალადაშვილების სახლი უკვე მიაკუთვნა და შესაბამისი ოქმიც გაფორმდა, კვლავ გრძელდება სასამართლო პროცესი, სადაც ალადაშვილები იმ ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვენ, რაზე დაყრდნობითაც ობოლაშვილს ამ სახლზე პრეტენზია გაუჩნდა.

## ავარიას თბილისში ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა




ავარია თბილისში — შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ავარია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მოხდა.

„ოპელის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი ხეს შეეჯახა. წინასწარი ინფორმაციით, მძღოლი დიდი სიჩქარით მოძრაობდა და, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

## საკრებულოს კრწანისის მაჟორიტარ დეპუტატ თემურ გორგაძეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

საკრებულოს კრწანისის მაჟორიტარ დეპუტატს, თემურ გორგაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალდების შუამდგომლობა და გორგაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

დაცვის მხარე საკრებულოს დეპუტატის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა, ალტერნატივის სახით კი სასამართლის 15 ათას ლარიანი გირაოს გამოყენებას სთავაზობდა. თუმცა მოსამართლემ არ გაიზიარა დაცვის მხარის შუამდგომლობა და თემურ გორგაძეს პატიმრობა შეუფარდა.

## შსს-ს მიერ პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში ფოტო და ვიდეოგადაღება გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს

– შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში ფოტო და ვიდეოგადაღება გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს. ამის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის ანგარიშშია აღნიშნული.

როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი აცხადებს, სამართლებრივად დეტალურად არ არის დარეგულირებული ფოტოსურათით პირის იდენტიფიკაციის პროცესი, რაც არაერთგვაროვანი პრაქტიკის, მონაცემების არამართლზომიერად, კანონით დადგენილი პრინციპების დარღვევით დამუშავების საფრთხეს ქმნის. მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო გამოყენების კუთხით საფრთხის შემცველია ვიდეოგადაღებისა და ინფორმაციის მიმოცვლის სხვადასხვა საშუალებისა და სამინისტროს თანამშრომლების პირადი მობილური ტელეფონების გამოყენებაც.

ანგარიშის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, ინსპექტორმა შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ პრევენციული ღონისძიების მიმდინარეობისას ერთ-ერთი მოქალაქის ვიდეოგადაღების ფაქტი. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სამართალდამცავებმა ზედაპირული შემოწმების მიზნით შეაჩერეს მოქალაქე და პირადი მობილური ტელეფონით გადაიღეს შემოწმების პროცესი.

როგორც ანგარიშია აღნიშნული, სამინისტროს პოზიციით, ვიდეოგადაღება ემსახურებოდა მოქალაქის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილების, თანამშრომლების სიცრუეში დადანაშაულებისა და დისკრედიტაციის თავიდან არიდების მიზანს.




თუმცა გავრცელებულ ჩანაწერში მოქალაქე არაერთხელ, მკაფიოდ აფიქსირებდა პოლიციასთან თანამშრომლობის მზაობას, აცხადებდა თანხმობას, როგორც ზედაპირული შემოწმების, ისე ალკოჰოლის ტესტის ჩატარებაზე და განყოფილებაში გადაყვანაზეც კი.

– აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში არ ფიქსირდებოდა მოქალაქის მხრიდან პოლიციელების კანონიერი განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა, მათი სიტყვიერი შეურაცხყოფა, ან/და მათ მიმართ სხვა უკანონო ქმედება. ვიდეოჩანაწერი სრულდებოდა ჩანაწერში მონაწილე პირების დამშვიდობებითა და მოქალაქისათვის კუთვნილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დაბრუნებით. გარდა ამისა, პოლიციის თანამშრომლის პირადი მობილური ტელეფონიდან არ წაშლილა გადაღებული ჩანაწერი, ის არ გადაუტანიათ სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაშიც. შესაბამისად, სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი მისი დაცვა შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და დაკარგვისაგან. ერთ-ერთი მოქალაქის მოთხოვნის საფუძველზე, ინსპექტორმა შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან, „პირის იდენტიფიკაციის“ მიზნით პირადი მობილური ტელეფონით მოქალაქის ფოტოგადაღების ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ სამართლებრივად დეტალურად არ არის დარეგულირებული ფოტოსურათით პირის იდენტიფიკაციის პროცესი, რაც არაერთგვაროვანი პრაქტიკის, მონაცემების არამართლზომიერად, კანონით დადგენილი პრინციპების დარღვევით დამუშავების საფრთხეს ქმნის. მონაცემთა შემთხვევითი, ან უკანონო გამოყენების კუთხით საფრთხის შემცველია ვიდეოგადაღებისა და ინფორმაციის მიმოცვლის სხვადასხვა საშუალებისა და სამინისტროს თანამშრომლების პირადი მობილური ტელეფონების გამოყენებაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, განისაზღვროს პრევენციული ღონისძიების გატარებისას ფოტოსურათით პირის იდენტიფიკაციის და მონაცემთა ბაზაში გადამოწმების წესი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება მონაცემთა დამუშავების კანონიერება. ამასთან, მონაცემთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს ამ ღონისძიების ჩატარებისათვის თანამშრომლის სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონისა და ინფორმაციის გადაცემის საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობა და, საჭიროების შემთხვევაში, მიღებულ იქნეს შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები მონაცემთა დამუშავების პროცესში უსაფრთხოების ზომების გასამკაცრებლად, – აღნიშნულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის ანგარიშში.

## „სამი მეტრი მაინც არის გათრეული თმებით“ – მშობელი ბაღის მასწავლებელს ძალადობის გამო უჩივის



გლდანში, კერძო საბავშვო ბაღის „ჭიამაიას“ აღსაზრდელის მშობელი, მასწავლებელს ბავშვზე განხორციელებული ძალადობის გამო უჩივის.

– მშობლებო, მეგობრებო, მასწავლებლებო, სამწუხაროდ ვავრცელებ ინფორმაციას ამ ეტაპზე ფოტოს სახით. აღშფოთებული და დათრგუნული ვარ, რაც შ.პ.ს. ბაგა-ბაღ „ჭიამაია“-ში მოხდა ჩემი ვაჟის გაბრიელ გობიანის თავს, ის გახდა ძალადობის მსხვერპლი მასწავლებლის მიერ და არაერთ გზის, ყველაზე სამწუხარო და მტკივნეული ის ფაქტია, რომ მტკიცებულება ვიდეო, ასევე ფოტოს სახით გადაეცა ყველა უწყებას, სადაც აშკარაა ძალადობა, მაგრამ დღევანდელ საქართველოში, მე ვფიქრობ, რომ ისევ ბნელა! რეაგირება დღემდე არ მოყოლია და მასწავლებლისათვის ბრალდება არ არის წარდგენილი, როდესაც მტკიცებულებები და აღიარებითი ჩვენება უკვე აქვთ შსს და ასევე პროკურატურას, როდესაც კვალიფიკაცია უკვე მიცემულია 126-ე მუხლის 1 „ა“ ქვეპუნქტით. სამწუხაროდ დამნაშავე ჯერ კიდევ დასჯილი არ არის!! მე, როგორც დედა, განადგურებული ვარ. 21-ე საუკუნის საქართველო სდუმს!!! – წერს ქრისტინე მირზოიანი.

მისი თქმით, მასწავლებელს ბავშვი ერთი ადგილიდან მეორემდე თმების მოქაჩვით გადაჰყავს:

– თმების ძლიერი მოქაჩვით გაჰყავს ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდე. იმ ხარისხიან ვიდეოში, რომელიც თვითონ პოლიციამ მოიძია და ამოიღო ბაღიდან, ნათლად ჩანს, რომ სამი მეტრი მაინც არის გათრეული თმებით, – განაცხადა ბავშვის დედამ, ქრისტინე მირზოიანმა.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში კი მასწავლებელს 1-დან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## შსს-მ აჭარაში თაღლითური ჯგუფი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აჭარაში თაღლითური ჯგუფი დააკავა, – ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი 1 პირი და გირაოს ქვეშ მყოფი 1 პირი მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორივე პირი ბათუმში დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არასრულწლოვნებს მოტყუებით ართმევდნენ მობილურ ტელეფონებს, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლებოდნენ და შემდეგ ყიდდნენ. პოლიციამ დანაშაულებრივი გზით დაუფლებული მობილური ტელეფონები ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება წინასწარი



შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, – განაცხადა ჭელიძემ.

მისივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ეფექტიანად იმუშავეს სხვა დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენისა და გამოძიების მიმართულებითაც.

– აჭარასა და შიდა ქართლში მომხდარი ქურდობის 3 ფაქტია გახსნილი. მათ შორის, ქურდობაში მხილებულია 3 არასრულწლოვანი, – განაცხადა მამუკა ჭელიძემ.

## ქარელში მომხდარი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი ცხელ კვალზე გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქარელში მომხდარი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ ბრიფინგზე განაცხადა, ბრალდებულმა ქარელში მეზობელ ქალს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ნაჯახით თავის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.




მამუკა ჭელიძის თქმით, სამართალდამცველებმა ბრალდებული რამდენიმე საათში ცხელ კვალზე დააკავეს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და ქარელის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ერთი პირი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალაქ ქარელში მეზობელ ქალს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ნაჯახით თავის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა, წარმატებით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, იგი ქარელში, მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – ნაჯახი ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 19-108-ე მუხლით, – განაცხადა მამუკა ჭელიძემ.

## ჯებირთან მივიდა, პირჯვარი გადაისახა და წყალში გადახტა

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა. თვითმხილველების თქმით, კაცი ჯებირთან მივიდა, პირჯვარი გადაისახა და წყალში გადახტა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში აცხადებენ, რომ მოქალაქე, რომელიც ვახუშტის ხიდიდან გადახტა, მაშველებმა მდინარე მტკვრიდან ამოიყვანეს.

მოქალაქე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

# ნეთანიაჰუს 300.000 დოლარი ქრთამის აღებას აბრალებენ



პოლიციამ ისრაელის პრემიერი და მისი მეუღლე დაკითხა

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ და მისი მეუღლე კორუფციულ გარიგებასთან დაკავშირებით 2 მარტს პოლიციამ პირველად დაკითხა.

პოლიციამ ნეთანიაჰუ რეზიდენციაში დაკითხა, მისი მეუღლე კი – თელ ავივის მახლობლად არსებულ პოლიციის განყოფილებაში.

პოლიციამ ნეთანიაჰუს ოჯახის ყოფილი წარმომადგენელი და მისი ახლო მეგობარი თებერვლის ბოლოს სატელეკომუნიკაციო კომპანია „ბეზექისთვის“ სასარგებლო რეგულირების ხელშეწყობისთვის დააპატიმრა. ორივე დაკავებული ბრალს უარყოფს.

ნეთანიაჰუ ამ ყველაფერს „კუდიანებზე ნადირობას“ უწოდებს.

ისრაელის გენერალურმა პროკურორმა უნდა გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა პოლიციის რეკომენდაცია ნეთანიაჰუსთვის ბრალის წარდგენაზე ორ სხვა კორუფციული საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით.

ერთი საქმის მიხედვით, რომელსაც ეწოდება „საქმე 1.000“, ნეთანიაჰუმ მილიარდერი ბიზნესმენისგან ქრთამის სახით 300.000 აშშ დოლარი მიიღო.

„საქმე 2.000“-ის მიხედვით, ის ცდილობდა შეეზღუდა ისრაელური გაზეთის გაყიდვები, რათა მის კონკურენტ გაზეთს ნეთანიაჰუსთვის დადებითი შეფასება მიეცა.

# აღმოსავლეთ გუტაში კვლავ შეტაკებებია



სირიაში გაეროს სპეცწარმომადგენლის მოადგილე იან ეგელანის ცნობით, აღმოსავლეთ გუტაში შეტაკებები გრძელდება. ჰუმანიტარული დერეფანი, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებს, ასადის მომხრე ფორმირებები კი კვლავ ქალაქის აღებას ცდილობენ.

– აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოების დაუყოვნებელი და მკაცრი რეაგირება, – ამბობს ეგელანი.

# ესპანელი პენსიონერები ქუჩაში გამოვიდნენ



ესპანელი პენსიონერები ქუჩაში გამოვიდნენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ღირსეული პენსია არ აქვთ. საპროტესტო აქციები ქვეყნის 40-მდე ქალაქში გაიმართა.

ყველაზე მასობრივი აქცია მადრიდში შედგა, სადაც ქუჩაში 20.000 ადამიანი გამოვიდა.

# ბურკინა-ფასოში საფრანგეთის საელჩოს თავს დაესხნენ

2 მარტს ბურკინა-ფასოს დედაქალაქ უაგადუგუში მდებარე საფრანგეთის საელჩო ტერორისტული თავდასხმის სამიზნე გახდა.

„მიმდინარეობს თავდასხმა საფრანგეთის საელჩოსა და ფრანგული ენის ინსტიტუტის შენობებზე. გთხოვთ, დარჩეთ თქვენს ადგილებზე“, – დაიწერა ბურკინა-ფასოში საფრანგეთის საელჩოს გვერდზე „ფეისბუქში“.



დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობას ხუთმა შეიარაღებულმა პირმა გაუხსნა ცეცხლი. მოგვიანებით 4 თავდამსხმელი ლიკვიდირებულ იქნა.

– შეიარაღებული თავდასხმის სამიზნე საფრანგეთის საელჩო და ბურკინა-ფასოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი იყო. სპეცოპერაციის შედეგად ოთხი თავდამსხმელი ლიკვიდირებულია. მთავრობა მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს, – ნათქვამია ბურკინა-ფასოს მთავრობის განცხადებაში.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# პუტინმა დასავლეთს ულტიმატუმი წაუყენა

## აშშ-მ პასუხად უკრაინისთვის ჯაველინების მიყიდვა გადაწყვიტა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მაგარი ბიჭის როლის თამაშს ჯიუტად განაგრძობს. ამის დამადასტურებელია მისი მიმართვა ფედერალური დუმისადმი. პუტინმა დამსწრეთ განუცხადა, რომ არავითარი ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან რუსეთს ახალი ტიპის რაკეტა „სარმატი“ აქვს, რომლის წინაშეც ამერიკული „პრო“ უძლურია.





– მსგავსი რაკეტები არავის ჰქონია და არც ექნება! ეს მხოლოდ ჩვენ გვაქვს, – გამოაცხადა პუტინმა.

დარბაზი ამას ოვაციით შეხვდა ერთერთმა ქალმა სიხარულის ცრემლიც მოიწმინდა. პუტინის სიტყვებზე პირველი კომენტარი რამზან კადიროვმა გააკეთა:

– პუტინმა ის თქვა, რაც უნდა ეთქვა! მე ჩემი პრეზიდენტით ვამაყობ, – ამბობს კადიროვი.

დასავლეთის რეაქცია მკვეთრად განსხვავებულია. პირადად ტრამპმა პუტინისთვის პასუხის გაცემაც კი არ ისურვა. სამაგიეროდ, აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება უკრაინისთვის ჯაველინების ტიპის რაკეტების მიყიდვის შესახებ.

საუბარია 47 მილიონი დოლარის გარიგებაზე, რომლითაც უკრაინას 210 ჯაველინის ტიპის რაკეტას მიაწვდიან. ტრამპის ადმინისტრაციამ ამის თაობაზე კონგრესს უკვე ოფიციალურად აცნობა. ახლა კონგრესს 30 დღის ვადაში შეუძლია ამ გადაწყვეტილების ბლოკირება, რაც ძლიერ საეჭვოა. თუ ასე არ მოხდა, ამერიკული რაკეტები უკრაინაში მოხვდება.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული რეაქცია მოჰყვა. პენტაგონის პრესმდივან დონა უაიტის ცნობით, ამერიკელები ყურადღებით ადევნებენ თვალს ყველაფერს, რაც რუსეთში ხდება.

– პუტინმა მისთვის სასურველი სურათი დახატა, რაც რეალობას არ შეესაბამება. სინამდვილეში სარაკეტო ტექნოლოგიაში არავითარ სერიოზულ გარღვევას ადგილი არ აქვს, – ამბობს უაიტი.

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი უილიამსონი მიიჩნევს, რომ პუტინმა დასავლეთს ღია გამოწვევა გაუგზავნა, რაც რეაგირების გარეშე ვერ დარჩება.

– პუტინმა დასავლეთს ულტიმატუმი წაუყენა! ახლა ყველასთვის ცხადია, რომ ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების სრულყოფას სათანადო ყურადღება უნდა დავუთმოთ, – ამბობს უილიამსონი.

უკრაინის გენშტაბის ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალი რომანენკო მიიჩნევს, რომ პუტინის გამოსვლა განკუთვნილი იყო სამი მხარისათვის.

პირველი რუსი ობივატელია. რაკეტების დემონსტრირებით პუტინი რუსების ველიკოდერჟავულ გრძნობებზე თამაშობს და არწმუნებს, რომ რუსეთს წინ ვერცერთი სახელმწიფო ვერ დაუდგება.

– რუს ობივატელს ეს გულზე მალამოსავით ეცხება, – თქვა რომანენკომ.

მეორე ადრესატი უკრაინაა, რომელიც მოსკოვის დიქტატს არ დაემორჩილა, პრორუსულად განწყობილი პრეზიდენტი იანუკოვიჩი დაამხო, დონბასში კი რუსული ჯარი რიგი დასახლებული პუნქტიდან გააძევა. გენერალი რუსეთის პრეზიდენტის მუქარას არასერიოზულს უწოდებს. რომანენკომ ხაზი გაუსვა, რომ უკრაინამ ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა მოახერხა, რომლის შეიარაღებაში უკვე ფრთოსანი რაკეტებიცაა.

– ღმერთმა დაიფაროს, საქმე რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიან ომამდე მივიდეს! ამ შემთხვევაში ვერც რუსეთი გადარჩება და ვერც უკრაინა! – აცხადებს რომანენკო.

მესამე ადრესატი დასავლეთია. რუსეთის პრეზიდენტს სურს აიძულოს როგორც აშშ, ისე ევროპა, მასთან გავლენის სფეროების გაყოფის თაობაზე დიალოგი გამართონ (ახალი იალტა). იმის გამო, რომ მოსკოვს არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური უპირატესობა არ გააჩნია, პუტინმა დასავლეთს ულტიმატუმი წაუყენა, ჩვენთან გარიგებაზე წამოდით, თორემ რაკეტებს გამოვიყენებთო.

– პუტინის სიტყვების შედეგი საწინააღმდეგო იქნება. რუსეთს საერთოდ აღარავინ მოუსმენს. დასავლეთს არ უყვარს ის, ვინც მუშტებზე იყურება, მით უმეტეს, როცა ეს მუშტები არ აქვს, – მიიჩნევს რომანენკო.

რუს სამხედრო ექსპერტ ალექსანდრე გოლცის აზრით, პუტინი ბლეფობს და არავითარი ახალი რაკეტები არ გააჩნია. რუსეთი აშშ-ს ტექნოლოგიურად ბევრად ჩამორჩა. რუსული სამხედრო ბიუჯეტი ამერიკულზე ნაკლებია, აშშ-ის არმია კი რუსულზე მრავალრიცხოვანი, დისციპლინირებული და უკეთ გაწვრთნილია. თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ის, რომ მსოფლიო 1982 წლის მდგომარეობას დაუბრუნდა, როცა გამალებული შეიარაღება მძვინვარებდა და დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს ძალის ენაზე ესაუბრებოდნენ.

– 1982 წლისგან განსხვავებით, აღარც საბჭოთა კავშირი არსებობს, არც მსოფლიო სოციალისტური სისტემა. რუსეთიც იზოლაციაშია მოქცეული. ძველი ბიცეპსები კარგა ხანია, გაცვდა, ამიტომ ყველას, ვინც კუნთებზე იყურება, ამის გათვალისწინება მოუწევს, – თქვა გოლცმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მადონინა სხვა მატჩებს ჩრდილავს

## სტატისტიკა, ფსონები

**ევროპაში სუპერტური... ყველაზე საინტერესო მილანური დერბია – მილან-ინტერი. თუმცა, ვერც სხვა მატჩებს დავიწუნებთ იტალიაში: ლაციო-იუვენტუსი, რომა-ნაპოლი. ან სხვა ქვეყნებს რას ვერჩით? ესპანეთში ბარსელონა-ატლეტიკოა, ხოლო ინგლისში – სიტი-ჩელსი... შედარებით მოკრძალებულად მოჩანს გერმანიაში ლაიპციგი-დორტმუნდი, მაგრამ – სახელის გამო, არადა, ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი თამაშია.**



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.03 ბარნლი-ევერტონი | 2.5 | 2.9 | 3.1 |
| 03.03 ლესტერი-ბორნმუთი | 1.83 | 3.6 | 4.2 |
| 03.03 სუონსი-ვესტ ჰემი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 03.03 უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი | 2.05 | 3.25 | 3.75 |
| 03.03 საუთჰემპტონი-სტოკი | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 03.03 ტოტენჰემი-ჰადერსფილდი | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 03.03 ლივერპული-ნიუკასლი | 1.22 | 6.5 | 12.0 |
| 04.03 ბრაიტონი-არსენალი | 4.2 | 3.75 | 1.8 |
| 04.03 სიტი-ჩელსი | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 05.03 კრ.პალასი-მანჩესტერი | 6.0 | 4.0 | 1.55 |

**ბარნლი-ევერტონი**

ბარნლი: ***ტრავმ***-სტივენ დეფო, ჯონათან უოლტერსი, რობი ბრეიდი, ტომ ჰატონი

ევერტონი: ***ტრავმ***-ელაქუიმ მანგალა, ჯეიმს მაკარტნი

**ლესტერი-ბორნმუთი**

ლესტერი: ***ტრავმ***-არავინ

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ტაირონ მინგსი

**სუონსი-ვესტ ჰემი**

სუონსი: ***ტრავმ***-ლეროი ფერი, ვილფრედ ბონი, ანგელ რანგელი, რენატო სანჩესი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-პედრო ობიანგი, ენდი კეროლი, ედიმილსონ ფერნანდესი

**უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-ჟერომ სილკნერი, კრისტიან კაბასელე, ტომ კლევერლი, მოლა ვოგი, იუნის კაბული, ნათან ჩალობა

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-დანიელ სტარიჯი, ჯეიმს მორისონი, ნასერ ჩადლი

**საუთჰემპტონი-სტოკი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-მაია იოშიდა, ჩარლი ოსტინი

სტოკი: ***ტრავმ***-სტივენ აირლანდი

**ტოტენჰემი-ჰადერსფილდი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-იან ვერტოგენი, ტობი ალდერვეირელდი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ფილიპ ბილინგი, ელიას კაჩუნგა

**ლივერპული-ნიუკასლი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ჟორჟინიო ვეილანდუმი, დანი ინგსი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ხესუს გომესი

**ბრაიტონი-არსენალი**

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

არსენალი: ***ტრავმ***-ალექსანდერ ლაკაზეტი, სანტი კაზორლა

**სიტი-ჩელსი**

სიტი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მენდი

ჩელსი: ***ტრავმ***-დავიდ ლუიზი

**კრ.პალასი-მანჩესტერი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯოელ ვარდი, მამადუ სახო, ჯულიან სპერონი, ვილფრედ ზაჰა, ბაკარი საკო, ჯეისონ პუნჩეონი, სკოტ დანი, რუბენ ლოფტუს-ჩეკი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ფილ ჯონსი, მარკოს როხო, ანდერ ერერა, დეილი ბლინდი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 28 | 24 | 3 | 1 | 80-20 | 75 |
| 2.მანჩესტერი | 28 | 18 | 5 | 5 | 53-20 | 59 |
| 3.ლივერპული | 28 | 16 | 9 | 3 | 65-32 | 57 |
| 4.ტოტენჰემი | 28 | 16 | 7 | 5 | 53-24 | 55 |
| 5.ჩელსი | 28 | 16 | 5 | 7 | 50-25 | 53 |
| 6.არსენალი | 28 | 13 | 6 | 9 | 51-37 | 45 |
| 7.ბარნლი | 28 | 9 | 10 | 9 | 22-25 | 37 |
| 8.ლესტერი | 28 | 9 | 9 | 10 | 40-41 | 36 |
| 9.ევერტონი | 28 | 9 | 7 | 12 | 32-47 | 34 |
| 10.უოტფორდი | 28 | 9 | 6 | 13 | 38-47 | 33 |
| 11.ბორნმუთი | 28 | 8 | 8 | 12 | 33-43 | 32 |
| 12.ბრაიტონი | 28 | 7 | 10 | 11 | 26-37 | 31 |
| 13.ვესტ ჰემი | 28 | 7 | 9 | 12 | 35-50 | 30 |
| 14.ჰადერსფილდი | 28 | 8 | 6 | 14 | 25-48 | 30 |
| 15.ნიუკასლი | 28 | 7 | 8 | 13 | 27-38 | 29 |
| 16.საუთჰემპტონი | 28 | 5 | 12 | 11 | 29-41 | 27 |
| 17.კრ.პალასი | 28 | 6 | 9 | 13 | 25-43 | 27 |
| 18.სუონსი | 28 | 7 | 6 | 15 | 21-41 | 27 |
| 19.სტოკი | 28 | 6 | 8 | 14 | 28-54 | 26 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 28 | 3 | 11 | 14 | 22-42 | 20 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.03 ვილიარეალი-ხირონა | 1.83 | 3.4 | 4.0 |
| 03.03 სევილია-ბილბაო | 1.65 | 3.5 | 5.0 |
| 03.03 დეპორტივო-ეიბარი | 2.7 | 3.2 | 2.45 |
| 03.03 ლეგანესი-მალაგა | 2.0 | 2.9 | 4.0 |
| 04.03 რეალი-ხეტაფე | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 04.03 ლევანტე-ეესპანიოლი | 2.8 | 3.1 | 2.6 |
| 04.03 ბარსელონა-ატლეტიკო | 1.65 | 3.6 | 4.8 |
| 04.03 სოსიედადი-ალავესი | 1.75 | 3.75 | 4.0 |
| 04.03 ვალენსია-ბეტისი | 1.5 | 4.2 | 5.5 |
| 05.03 სელტა-ლას პალმასი | 1.5 | 4.4 | 6.0 |

**ვილიარეალი-ხირონა**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ნიკოლა სანსონე, ლეო სუარესი, ანდრეს ფერნანდესი

ხირონა: ***ტრავმ***-არავინ

**სევილია-ბილბაო**

სევილია: ***ტრავმ***-ხესუს ნავასი, ლიონელ კაროლე, სებასტიან ყორშია

ბილბაო: ***ტრავმ***-მიკელ რიკო, მიკელ ბალენზიაგა, იკერ მუნიანი

**დეპორტივო-ეიბარი**

დეპორტივო: ***ტრავმ***-რაულ ალბენტოსა, ფედერიკო ვალვერდე

ეიბარი: ***ტრავმ***-ივან რამისი, სერჯი ენრიჩი

**ლეგანესი-მალაგა**

ლეგანესი: ***ტრავმ***-ნაბილ ელ ზარი, კლაუდიო ბოვო, დარკო ბრასანაჩი, ალექსანდერ შიმანოვსკი

მალაგა: ***ტრავმ***-რეკიო, ფედერიკო რიკა, ადალბერტო პენარანდა, ხუანკარი

**რეალი-ხეტაფე**

რეალი: ***ტრავმ***-ლუკა მოდრიჩი, მარსელო, ტონი კროოსი

ხეტაფე: ***ტრავმ***-მარკელ ბერგარა

**ლევანტე-ესპანიოლი**

ლევანტე: ***ტრავმ***-რაული, ალექს ალეგრია, ივან ლოპესი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-სერხიო სანჩესი

**ბარსელონა-ატლეტიკო**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ნელსონ სემედო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ლუკას ერნანდესი, სტეფან სავიჩი

**სოსიედადი-ალავესი**

სოსიედადი: ***ტრავმ***-იმანოლ აგირეჩე, ჯერონიმო რული, ხაბი პრიეტო, ვილიამ ხოსე

ალავესი: ***ტრავმ***-კარლოს ვიგარაი

**ვალენსია-ბეტისი**

ვალენსია: ***ტრავმ***-ეზეკიელ გარაი, ანდრეას პერეირა

ბეტისი: ***ტრავმ***-ზუჰარ ფედალი, ანტონიო სანაბრია

**სელტა-ლას პალმასი**

სელტა: ***ტრავმ***-ენდრიუ ფონტასი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-პედრო ბიგასი, გაბრიელ პენალბა, მომო ფიგეროა

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 20 | 6 | 0 | 69-13 | 66 |
| 2.ატლეტიკო | 26 | 18 | 7 | 1 | 45-11 | 61 |
| 3.რეალი | 26 | 15 | 6 | 5 | 62-28 | 51 |
| 4.ვალენსია | 26 | 15 | 5 | 6 | 50-30 | 50 |
| 5.სევილია | 26 | 13 | 3 | 10 | 34-40 | 42 |
| 6.ვილიარეალი | 26 | 12 | 5 | 9 | 36-30 | 41 |
| 7.ეიბარი | 26 | 11 | 5 | 10 | 33-38 | 38 |
| 8.ხირონა | 26 | 10 | 7 | 9 | 36-36 | 37 |
| 9.ბეტისი | 26 | 11 | 4 | 11 | 43-50 | 37 |
| 10.ხეტაფე | 26 | 9 | 9 | 8 | 32-22 | 36 |
| 11.სელტა | 26 | 10 | 5 | 11 | 43-38 | 35 |
| 12.ბილბაო | 26 | 7 | 11 | 8 | 27-29 | 32 |
| 13.ესპანიოლი | 26 | 7 | 10 | 9 | 23-32 | 31 |
| 14.ალავესი | 26 | 10 | 1 | 15 | 23-37 | 31 |
| 15.სოსიედადი | 26 | 8 | 6 | 12 | 47-47 | 30 |
| 16.ლეგანესი | 26 | 8 | 6 | 12 | 21-32 | 30 |
| 17.ლევანტე | 26 | 3 | 11 | 12 | 21-41 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 26 | 5 | 5 | 16 | 19-53 | 20 |
| 19.დეპორტივო | 26 | 4 | 6 | 16 | 24-56 | 18 |
| 20.მალაგა | 26 | 3 | 4 | 19 | 16-41 | 13 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.03 აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი | 2.6 | 3.4 | 2.62 |
| 03.03 აინტრახტი-ჰანოვერი | 1.75 | 3.6 | 4.75 |
| 03.03 შალკე-ჰერტა | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 03.03 ვოლფსბურგი-ლევერკუზენი | 3.3 | 3.4 | 2.15 |
| 03.03 ჰამბურგი-მაინცი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 03.03 ლაიპციგი-დორტმუნდი | 2.5 | 3.5 | 2.62 |
| 04.03 კიოლნი-შტუტგარტი | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 04.03 ფრაიბურგი-ბაიერნი | 11.0 | 5.0 | 1.3 |

**აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-მარკო რიხტერი, დანიელ ოპარე, ალფრედ ფინბოგასონი, ჯეფ გუელევეუ

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-სტივენ ზუბერი, სტეფან პოში, ქერემ დემირბეი, ფელიქს პასლაკი

**აინტრახტი-ჰანოვერი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ომარ მასკარელი, ჯეტრო ვილემსი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-მანუელ შმიდებახი, ჯოელ სარენრენი

**შალკე-ჰერტა**

შალკე: ***ტრავმ***-ვესტონ მაკკეინი

ჰერტა: ***ტრავმ***-კარიმ რეკიკი, არნე მაიერი, ვედად იბიშევიჩი

**ვოლფსბურგი-ლევერკუზენი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-მარსელ ტისერანდი, იანიკ გერჰარდტი, ფელიქს უდოკაი, ჯონ ბრუკსი, იაკუბ ბლაჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-სვენ ბენდერი

**ჰამბურგი-მაინცი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ლუის ჰოლტბი, ალბინ ეკდალი, ნიკოლაი მიულერი

მაინცი: ***ტრავმ***-არავინ

**ლაიპციგი-დორტმუნდი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ნაბი კეიტა, მარსელ ჰალშენბერგი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-იადონ სანჩო, ანდრეი იარმოლენკო, მაქსიმილიან ფილიპი

**კიოლნი-შტუტგარტი**

კიოლნი: ***ტრავმ***-ლუკას კლუნტერი, ჯონ კორდობა, სეროი დუირასი, პაველ ოლკოვსკი, სიმონ ზოლერი, ბირკ რისა, კრისტიან კლემენსი, ტიმ ჰანდვერკერი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მატიას ციმერმანი

**ფრაიბურგი-ბაიერნი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლას ჰოფლერი, მიკ ფრანტცი, ფლორიან ნიდერლეხნერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ჟერომ ბოატენგი, მანუელ ნოიერი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 19 | 3 | 2 | 55-18 | 60 |
| 2.დორტმუნდი | 24 | 11 | 8 | 5 | 49-30 | 41 |
| 3.შალკე | 24 | 11 | 7 | 6 | 38-30 | 40 |
| 4.აინტრახტი | 24 | 11 | 6 | 7 | 32-27 | 39 |
| 5.ლევერკუზენი | 24 | 10 | 8 | 6 | 43-32 | 38 |
| 6.ლაიპციგი | 24 | 11 | 5 | 8 | 37-33 | 38 |
| 7.გლადბახი | 24 | 10 | 4 | 10 | 31-35 | 34 |
| 8.აუგსბურგი | 24 | 8 | 8 | 8 | 33-30 | 32 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 8 | 8 | 38-38 | 32 |
| 10.ჰანოვერი | 24 | 8 | 8 | 8 | 32-34 | 32 |
| 11.ჰერტა | 24 | 7 | 10 | 7 | 30-30 | 31 |
| 12.შტუტგარტი | 24 | 9 | 3 | 12 | 20-27 | 30 |
| 13.ფრაიბურგი | 24 | 6 | 11 | 7 | 25-38 | 29 |
| 14.ვერდერი | 24 | 6 | 8 | 10 | 22-28 | 26 |
| 15.ვოლფსბურგი | 24 | 4 | 13 | 7 | 27-31 | 25 |
| 16.მაინცი | 24 | 6 | 6 | 12 | 29-42 | 24 |
| 17.ჰამბურგი | 24 | 4 | 5 | 15 | 18-35 | 17 |
| 18.კიოლნი | 24 | 4 | 5 | 15 | 22-43 | 17 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.03 სპალი-ბოლონია2.4 | 3.1 | 3.1 | |
| 03.03 ლაციო-იუვენტუსი | 3.5 | 3.25 | 2.15 |
| 03.03 ნაპოლი-რომა | 1.6 | 4.0 | 5.5 |
| 04.03 ჯენოა-კალიარი | 1.85 | 3.4 | 4.5 |
| 04.03 ბენევენტო-ვერონა | 2.2 | 3.4 | 4.5 |
| 04.03 ატალანტა-სამპდორია | 1.75 | 3.8 | 4.33 |
| 04.03 უდინეზე-ფიორენტინა | 3.1 | 3.3 | 2.3 |
| 04.03 ტორინო-კროტონე | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 04.03 კიევო-სასუოლო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 04.03 მილანი-ინტერი | 2.5 | 3.1 | 3.0 |

**სპალი-ბოლონია**

სპალი: ***ტრავმ***-ალბერტო გრასი, ბარტოშ სალამონი, ჯასმინ კურტიჩი, პასკუალე შიატარელა, მარკო ბორიელო

ბოლონია: ***ტრავმ***-როდრიგო პალასიო, ანტონიო მირანტე, ანგეჯელო და კოსტა, ფილიპ ჰელანდერი

**ლაციო-იუვენტუსი**

ლაციო: ***ტრავმ***-მარტინ კასერესი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-სამი ხედირა, მატია დე შილიო, მეჰდი ბენატია, ფედერიკო ბერნანდესკი, ალექს სანდრო, გონსალო იგუაინი, შტეფან ლიხშტეინერი, ხუან კუადრადო

**ნაპოლი-რომა**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ვლად კირიკეში, ჟორჟინიო, მარიო რუი, ფაუზი გულამი, არკადიუშ მილიკი

რომა: ***ტრავმ***-ედინ ჯეკო, დანიელე დე როსი, ფედერიკო ფაციო, მაქსიმ გონალონსი

**ჯენოა-კალიარი**

ჯენოა: ***ტრავმ***-სანტიაგო ჯენტილეტი, არმანდო იზზო, გუზეპე როსი, ალეანდრო როსი, ადელ ტაარაბტი, მიგელ ველოსო

კალიარი: ***ტრავმ***-ფაბიო პისაკანე, დიეგო ფარიასი, მარკო ანდრეოლი, ლუკა გიგარინი, ნიკოლო ჯიანეტი, ლუკა კეპიტელი

**ბენევენტო-ვერონა**

ბენევენტო: ***ტრავმ***-მარკო დალესანდრო, ანდრეა კოსტა, ლუკა ანტეი

ვერონა: ***ტრავმ***-მარსელ ბუჩელი, ანტონიო კარაკიოლო, რომულო, მოჰამედ ფარესი, ალესიო ჩერჩი, მატია ძაგანი

**ატალანტა-სამპდორია**

ატალანტა: ***ტრავმ***-რაფაელ ტოლოი, ლუკა რიცო

სამპდორია: ***ტრავმ***-კაროლ ლინეტი, ვალერიო ვერე, ჯანმარკო ფერარი, ჯაკოპო სალა, ედგარ ბარეტო, ბარტოშ ბერეჟინსკი, ლუკას ტორეირა

**უდინეზე-ფიორენტინა**

უდინეზე: ***ტრავმ***-სტრიჯერ ლარსენი, ვალონ ბეჰრამი, ანტონინ ბარაკი, კევინ ლასანგა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მარკო ბენასი, ფედერიკო კიეზა, კრისტიანო ბირაგი

**ტორინო-კროტონე**

ტორინო: ***ტრავმ***-სიმონე ედერა, კრისტიან მოლინარო, ნიკოლას ბურდისო, მბაიე ნიანგი, ტომას რინკონი

კროტონე: ***ტრავმ***-შტეფან სიმიჩი, მარკო კაპუანო, როლანდო მანდრაგონა, ადრიან სტოიანი, მარკო ტუმინელო

**კიევო-სასუოლო**

კიევო: ***ტრავმ***-ვალტერ ბირსა, ემანუელ ჯიაჩერინი, მეჰდი ლერისი, ჯანლუკა გაუდინო, ნენად ტომოვიჩი

სასუოლო: ***ტრავმ***-ფედერიკო პელუსო, ანტონინო რაგუსა, დომენიკო ბერარდი, ტიმო ლეხტერი

**მილანი-ინტერი**

მილანი: ***ტრავმ***-მატეო მუსაჩიო, ლუკა ანტონელი, ლეონარდო ბონუჩი, ანდრეა კონტი

ინტერი: ***ტრავმ***-ედერი, მარსელო ბროზოვიჩი, დანილო ამბროზინი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 26 | 22 | 3 | 1 | 60-15 | 69 |
| 2.იუვენტუსი | 25 | 21 | 2 | 2 | 62-15 | 65 |
| 3.ლაციო | 26 | 16 | 4 | 6 | 64-33 | 52 |
| 4.ინტერი | 26 | 14 | 9 | 3 | 42-21 | 51 |
| 5.რომა | 26 | 15 | 5 | 6 | 40-21 | 50 |
| 6.სამპდორია | 26 | 13 | 5 | 8 | 46-34 | 44 |
| 7.მილანი | 26 | 13 | 5 | 8 | 37-30 | 44 |
| 8.ატალანტა | 25 | 10 | 8 | 7 | 37-29 | 38 |
| 9.ტორინო | 26 | 8 | 12 | 6 | 36-32 | 36 |
| 10.ფიორენტინა | 26 | 9 | 8 | 9 | 35-32 | 35 |
| 11.უდინეზე | 26 | 10 | 3 | 13 | 37-38 | 33 |
| 12.ბოლონია | 26 | 10 | 3 | 13 | 33-38 | 33 |
| 13.ჯენოა | 26 | 8 | 6 | 12 | 21-27 | 30 |
| 14.კალიარი | 26 | 7 | 4 | 15 | 23-41 | 25 |
| 15.კიევო | 26 | 6 | 7 | 13 | 23-43 | 25 |
| 16.სასუოლო | 26 | 6 | 5 | 15 | 15-46 | 23 |
| 17.კროტონე | 26 | 5 | 6 | 15 | 23-47 | 21 |
| 18.სპალი | 26 | 4 | 8 | 14 | 26-49 | 20 |
| 19.ვერონა | 26 | 5 | 4 | 17 | 24-51 | 19 |
| 20.ბენევენტო | 26 | 3 | 1 | 22 | 18-60 | 10 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 03.03 ტრუა-პსჟ | 10.0 | 5.5 | 1.28 |
| 03.03 ამიენი-რენი | 3.0 | 3.1 | 2.45 |
| 03.03 მეცი-ტულუზა | 2.62 | 3.2 | 2.75 |
| 03.03 სტ.ეტიენი-დიჟონი | 1.7 | 3.75 | 4.8 |
| 03.03 ანჟე-გენგამი | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 04.03 კაენი-სტრასბური | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 04.03 მონპელიე-ლიონი | 2.9 | 3.25 | 2.45 |
| 04.03 მარსელი-ნანტი | 1.55 | 4.0 | 6.0 |

**ტრუა-პსჟ**

ტრუა: ***ტრავმ***-შტეფან დარბიონი, ადამა ნიანე, ბენჯამინ ნივე, ტრისტან დინომე

პსჟ: ***ტრავმ***-ნეიმარი

**ამიენი-რენი**

ამიენი: ***ტრავმ***-სერჟ გაკპე, კვენტინ კორენტე

რენი: ***ტრავმ***-მეჰდი ზეფანე

**მეცი-ტულუზა**

მეცი: ***ტრავმ***-ოპა ნგუეტე, ჟან ჟოფრე, ჯულიან პალმიერი, ფალო დიანე, მილან ბიშევაჩი, ბენუა ასოუეკოტუ, ტომას დიდილონი, კაფუ, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

ტულუზა: ***ტრავმ***-სომალია

**სტ.ეტიენი-დიჟონი**

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ჩეიკ მბენგუე, პიერ გაბრიელი

დიჟონი: ***ტრავმ***-ჯორდან მარე, ხეკა

**ანჟე-გენგამი**

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

გენგამი: ***ტრავმ***-ჯონათან პერეირა, აბდულ კამარა

**კაენი-სტრასბური**

კაენი: ***ტრავმ***-იუსუფ აიტ ბენასერი, ვინსენ ბესა, ადამა მბენგუე

სტრასბური: ***ტრავმ***-ბენჯამინ კორნე

**მონპელიე-ლიონი**

მონპელიე: ***ტრავმ***-ჟერომ რუსილონი

ლიონი: ***ტრავმ***-რაფაელი

**მარსელი-ნანტი**

მარსელი: ***ტრავმ***-გრეგუარ სერტიჩი

ნანტი: ***ტრავმ***-იასინ ბამო, კოფი ჯიჯი, კალიფა კულიბალი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 27 | 23 | 2 | 2 | 84-19 | 71 |
| 2.მონაკო | 27 | 17 | 6 | 4 | 67-29 | 57 |
| 3.მარსელი | 27 | 16 | 7 | 4 | 56-32 | 55 |
| 4.ლიონი | 27 | 14 | 8 | 5 | 57-33 | 50 |
| 5.მონპელიე | 27 | 9 | 12 | 6 | 24-21 | 39 |
| 6.ნანტი | 27 | 11 | 6 | 10 | 27-28 | 39 |
| 7.რენი | 27 | 11 | 5 | 11 | 34-35 | 38 |
| 8.ბორდო | 27 | 10 | 6 | 11 | 32-35 | 36 |
| 9.ნიცა | 27 | 10 | 6 | 11 | 32-38 | 36 |
| 10.გენგამი | 27 | 9 | 8 | 10 | 28-35 | 35 |
| 11.დიჟონი | 27 | 10 | 5 | 12 | 38-52 | 35 |
| 12.სტ.ეტიენი | 27 | 9 | 7 | 11 | 28-41 | 34 |
| 13.კაენი | 27 | 9 | 5 | 13 | 20-32 | 32 |
| 14.სტრასბური | 27 | 8 | 7 | 12 | 32-47 | 31 |
| 15.ამიენი | 27 | 8 | 5 | 14 | 23-30 | 29 |
| 16.ტულუზა | 27 | 7 | 7 | 13 | 25-36 | 28 |
| 17.ანჟე | 27 | 6 | 10 | 11 | 29-40 | 28 |
| 18.ტრუა | 27 | 8 | 4 | 15 | 24-36 | 28 |
| 19.ლილი | 27 | 7 | 6 | 14 | 26-43 | 27 |
| 20.მეცი | 27 | 5 | 4 | 18 | 25-49 | 19 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# გოგი ქავთარაძე ანტიდასავლურ წერილზე ხელის მოწერას უარყოფს

რეჟისორმა და მსახიობმა გოგი ქავთარაძემ ტელეწამყვან გიორგი გასვიანთან გადაცემა „ფაბრიკაში“ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ არანაირ წერილზე ხელი არ მოუწერია, მით უმეტეს მაშინ, როცა წერილის შინაარსი საერთოდ არ იცის.



**გოგი ქავთარაძე:**

– არ ვიცი იმ წერილის შინაარსი. მთავარია, რომ დაიწერა წერილი, ხალხმა მოაწერა ხელი. მე წარმოდგენა არ მაქვს, რა წერილია. არაფერზე ხელი არ მომიწერია. დამეხვია ხალხი, უნდა მომთხოვონ პასუხი და რაზე უნდა მომთხოვონ პასუხი, როცა არავისთან საქმე არ მქონია და არც უთქვამთ არაფერი.

მინდა, ყველას ვთხოვო, რომ ჩემთან ნუღარ მოვლენ, რადგან ვერაფერს ვეტყვი. ალბათ გამიყალბეს ხელმოწერა, ალბათ აიღეს თავის თავზე ვიღაცებმა. დაიწერა წერილი, მე არავინ შემითანხმა, ჩემი გვარი არის ამ წერილზე. როგორ შეიძლება ეს? ეს არის ყველაზე ცუდი რამ.

# თემო გოცაძე: „წერილის კონტექსტი ჩემთვის მიუღებელია“

საქართველოს სახალხო მხატვარი თემო გოცაძე აცხადებს, რომ წერილი, სადაც მისი ხელმოწერაა, სრულიად სხვა კონტექსტითა და პოლიტიკური დატვირთვით გამოქვეყნდა, რაც მისთვის ყოველმხრივ მიუღებელია.

**თემო გოცაძე:**

– ვადასტურებ ხელმოწერას დიპლომატიური კორპუსისადმი გაგზავნილ მიმართვაზე. თუმცა, ხელი მოვაწერე არა იმას, რომ დასავლურმა კურსმა შეაფერხა საქართველოს განვითარება, არამედ იმას, რომ საქართველოს წარმოჩენა მსოფლიო ასპარეზზე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე წარმოუდგენლად მიმაჩნია.



აღნიშნული წერილი სრულიად სხვა კონტექსტითა და პოლიტიკური დატვირთვით გამოქვეყნდა, რაც ჩემთვის ყოველმხრივ მიუღებელია.

აქვე ვადასტურებ, რომ საქართველოს დასავლეთისაკენ სწრაფვას ალტერნატივა არ აქვს!

გადავწყვიტე, მოვხსნა ჩემი ხელმოწერა აღნიშნული განცხადებიდან.

# შინდისის გმირებს ძეგლს დაუდგამენ

2008 წლის 11 აგვისტოს შინდისის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გმირულად დაღუპული საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის 17 სამხედრო მოსამსახურის ხსოვნის უკვდავსაყოფად შინდისში 17-ფიგურიანი პორტრეტული ძეგლის კომპოზიცია შეიქმნება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით შინდისის ბრძოლაში დაღუპული გმირი ქართველი სამხედროების მემორიალის მშენებლობა გრძელდება. პროექტის გასაგრძელებლად თავდაცვის სამინისტრომ 100.000 ლარი გამოყო.

მემორიალის იდეის ავტორი ედმონდ მინაშვილი და მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძე გმირულად დაღუპული ქართველი სამხედროების მშობლებს შინდისში უკვე შეხვდნენ. მოქანდაკემ და იდეის ავტორმა შინდისში დაღუპული სამხედროების ოჯახის წევრებს პროექტის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია პირადად გააცნეს. მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძის განცხადებით, სამუშაოების პირველი ეტაპი და ლითონის ფიგურების დამზადება ორ თვეში დასრულდება.



# ნანი ბრეგვაძე საიუბილეო კონცერტს მოსკოვში გამართავს

მომღერალი ნანი ბრეგვაძე 28 მარტს საიუბილეო კონცერტს მოსკოვში გამართავს.

კროკუს სითი ჰოლში ქართველი მომღერალი მსმენელის წინაშე 2-საათიანი კონცერტით წარდგება და ამ საღამოთი საიუბილეო ტურს გახსნის.

კონცერტში ნანი ბრეგვაძესთან ერთად მონაწილეობას მიიღებს მისი შვილი, მომღერალი ეკა მამალაძე, სპეციალური სტუმრები კი იქნებიან ნინო ქათამაძე, ვალერი მელაძე და თამარ გვერდწითელი. კონცერტზე სიმფონიური ორკესტრი დაუკრავს, რომელსაც ნიკოლოზ რაჭველი უდირიჟორებს.

ნანი ბრეგვაძე მოსკოვში გამართულ საიუბილეო კონცერტზე შეასრულებს ცნობილ სიმღერებს თავისი რეპერტუარიდან, რომლებიც წლებია, ყველაზე მეტად უყვარს მსმენელს. სპეციალურ სტუმრებთან ერთად ის დუეტებსაც იმღერებს.

**ვალერი მელაძე,** *მომღერალი*:

– ნანი ბრეგვაძე სრულიად განსაკუთრებული და განუმეორებელი მომღერალია და ეს ყველაზე უბრალო სიტყვებია, რაც კი მის შესახებ შემიძლია ვთქვა. ის ისეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც შეუძლებელია არ გიყვარდეს და პატივს არ სცემდე. ნანი ბრეგვაძე ისეთი ღირსეული ადამიანია, რომ ყველაფერი არაჩვეულებრივად ლამაზად გამოსდის. ყოველთვის, როცა ვხედავ, საოცარი გრძნობა მეუფლება. ის ნამდვილად დიდებული ადამიანია.




# თაკო ჩარკვიანი მამის მეგობრებს მოუწოდებს, არ მოაწერონ ხელი დოკუმენტს საქართველოს წინააღმდეგ



პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის შვილი, პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი, მამის მეგობრებს მოუწოდებს, არ მოაწერონ ხელი დოკუმენტს საქართველოს წინააღმდეგ.

**თაკო ჩარკვიანი:**

– ჩემი უმორჩილესი თხოვნა და მიმართვა მამაჩემის მეგობრებს, ძალიან მაგარ ხალხს, მოხუცებს, მაგრამ ახალგაზრდულად მოაზროვნეებს, ნიჭიერებს, ბრძენ ვაჟკაცებს, ჭირვარამგამოვლილებს, მაგარ კაცებს, საქართველოს მეციხოვნეებს: ვრცელდება წერილი, რომელსაც ხელს აწერს რამდენიმე ნიჭიერი, ზოგიც უნიჭო, ზოგი შეცდომაში შეყვანილი, უნებლიეთ დაბნეული, ზოგიც შეგნებულად სხვა ქვეყნის მოსამსახურე წლების განმავლობაში.

დიდი ტვირთის მატარებელია ეს წერილი საქართველოს წინააღმდეგ, ჩემი რჩევა და შეგონება არ გჭირდებათ, თქვენ გენაცვალეთ, ჩემო ძვირფასო ხალხო, მაგრამ ამ მღვრიე წყალში, ვიფიქრე, არ დააბნიონ და არ აჰკიდონ მძიმე ტვირთი ამ ხალხს-მეთქი.

ვიცი, გაფრთხილება არ გჭირდებათ, მაგრამ მაინც გეტყვით სიყვარულით, არ მოაწეროთ ხელი ამ დოკუმენტს საქართველოს წინააღმდეგ. თქვენ გენაცვალეთ, არ ჩაიწეროთ თქვენს სუფთა ბიოგრაფიაში ლაქა და ტვირთი, ჭუჭყიანი შეთქმულების მცდელობაა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და ვინმემ არ გაგრიოთ, აქაოდა, უფროსი თაობა ასე ფიქრობსო.

თქვენს სიბრძნეზე დგას ჩვენი თაობა და მომავალიც. მსახიობმა და რეჟისორმა გოგი ქავთარაძემ თქვა პირდაპირ ეთერში გადაცემა „ფაბრიკაში“, არანაირ წერილზე ხელი არ მომიწერიაო. მნიშვნელოვანი განცხადებაა. გამიხარდა ძალიან.

თქვენ კი კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ მიყვარხართ და უდიდეს პატივს გცემთ. „თავისუფლება ლომთა ხვედრია“. თქვენ ლომები ხართ.

# ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ირაკლი გოგიას ემუქრებიან

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, რეჟისორ ირაკლი გოგიას ემუქრებიან.

ინფორმაცია ამის შესახებ ახმეტელის თეატრმა გაავრცელა:

– ჩვენი თეატრი ჩაერთო კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მთელი სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლებმა. ოსლოს მშვიდობის ინსტიტუტის დამაარსებელ იოჰან გალტუნგის სიტყვებით, ეს იყო 1992 წლის მერე ყველაზე წარმატებული სამშვიდობო პროექტი, რომელმაც გამოიწვია ქართველებისა და აფხაზების სერიოზული დაახლოება შემოქმედებითი პროცესის ირგვლივ; ჩვენი ქმედებები იყო სრულიად გამჭვირვალე და არანაირად არ იყო პოლიტიკურად ანგაჟირებული პროცესის ნაწილი; ჩვენ ყველგან ხაზს ვუსვამდით, რომ ეს არის ადამიანური ურთიერთობების აღდგენის პროცესი. ამ პროცესში ჩვენი მედიატორი იყო ინდოეთის მაჰათმა განდის ფონდი.



ირაკლი გოგიამ მის კოლეგებთან ერთად ეს პროცესი ძალიან წარმატებულად წარმართა, რასაც ხელშესახები შედეგები მოჰყვა. აფხაზები მეგობრულად ჩაერთვნენ პროექტში. ეს უაღრესად პოზიტიურად შეაფასეს მსოფლიოში ამ დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა და მშვიდობის დარგის ყველაზე ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

ამ პროცესის ფონზე ძალიან საგანგაშოა, რომ ირაკლი გოგიას მისამართით დღეს პრემიერამდე რამდენიმე საათით ადრე გაისმა კონკრეტული მუქარები სმს-ების სახით. მანამდეც ჰქონდა მუქარებს ადგილი. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს მოუწოდებენ, აფხაზებთან ურთიერთობებს თავი დაანებოს! ჩვენ, ახმეტელის თეატრის დასი, ვდგავართ სამხატვრო ხელმძღვანელის გვერდით; მოვუწოდებთ სამართალდამცველ ორგანოებს, გამოიძიონ, ვინ დგას ამ მუქარის უკან და რა ჯგუფების ინტერესებში შეიძლება შედიოდეს ირაკლი გოგიას ასე დაშინება; ჩვენ გვაქვს ეჭვი, რომ ვიღაც არ გვპატიობს აფხაზებთან შემრიგებლურ პოლიტიკას. შესაძლოა ეს იყოს ოკუპირებულ საზღვარზე კონტრაბანდაში ჩაბმული რუსული სპეცსამსახურების კვალი! ჩვენ ძალიან დიდი იმედი გვაქვს ქართული სახელმწიფოსა და ხელისუფლების გვერდში დგომის, ვინაიდან ის, რასაც ვაკეთებთ ჩვენ, არის დიდი ნაბიჯი წინ საქართველოში პოზიტიური მშვიდობის დამყარებისათვის.

დიდი იმედი გვაქვს, რომ გამოძიება დაადგენს ამ მუქარის ავტორებს და ნათელს მოჰფენს ამ სიტუაციას.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

## ჩინელმა ბავშვმა შარდით ლიფტი გააჩერა



ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში ბავშვმა ლიფტში მოკლე ჩართვა გამოიწვია და შიგნით გაიჭედა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

როდესაც ლიფტის კარი დაიხურა, ბიჭი იმ კედლის პირდაპირ დადგა, რომელზეც ლიფტის მართვის პულტი იყო განთავსებული და მასზე მოშარდვა დაიწყო. მან მთელი პულტი გულდასმით გაწუწა თავიდან ბოლომდე. აღნიშნული ინციდენტი ლიფტში დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ გადაიღო.

შარდმა მართვის პულტში შეაღწია და მოკლე ჩართვა გამოიწვია. ამის შედეგად ღილაკები წითლად აციმციმდა, კარი რამდენჯერმე გაიხსნა და დაიხურა, მაგრამ საბოლოოდ დაიხურა და ჩაიკეტა. შემდეგ ლიფტში სინათლეც ჩაქრა.

ბიჭი შეეცადა, „დისპეტჩერის გამოძახებისა“ და „კარის გაღების“ ღილაკებზე დაჭერით დაეღწია თავი ლიფტიდან, მაგრამ ისინი არ ამუშავდა. ბიჭს მაშველების ლოდინი სიბნელეში მოუხდა.

## დათვი ინდოეთის ქალაქში შეიჭრა და ათამდე ადამიანი დააშავა

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის ქალაქ ბხოპალში დათვი შეიჭრა და დაახლოებით ათამდე ადამიანი დააშავა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ინდური გამოცემა ავრცელებს.

დაახლოებით დილის შვიდ საათზე ცხოველი კედელზე გადაძვრა, რომელიც მიწათმოქმედების ინსტიტუტის კამპუსს აქვს შემოვლებული. დაცვის თანამშრომელმა დათვი შენიშნა და სხვა თანამშრომლებსაც აცნობა.

– ჩვენ ოთხნი ჯოხებით შეიარაღებულები გავემართეთ შემთხვევის ადგილისკენ, რათა ცხოველი გაგვეგდო. როდესაც დათვი თავს დაგვესხა, ადგილზე მხოლოდ მე და დაცვის უფროსი, ანურაგი, დავრჩით. ორი დანარჩენი გაიქცა. დათვმა თათი კისერში ჩამცხო და კბილებით ხელში ჩამაფრინდა. ნამდვილად დავიღუპებოდი, ანურაგს მისთვის ჯოხი, რომ არ დაეშინა, – განაცხადა ინსტიტუტის დირექტორის მძღოლმა სუხრამ სენმა.

მტაცებელი გაიქცა და გზად შემხვედრ ადამიანებს თავს ესხმოდა.

– მივდიოდით და დავინახეთ, რომ ჩვენკენ ორი ძაღლი მორბოდა. ამას ყურადღება არ მივაქციეთ, მაგრამ უცბად შევნიშნეთ, რომ ჩვენკენ უზარმაზარი დათვი მოქროდა. ჩვენ გავიქეცით, მაგრამ მან ხელში ჩამავლო პირი. მე დავეცი, ცხოველი კი ზურგზე დამახტა. მაშინ ჩემმა შვილმა, არპიტმა, მას ქვების სროლა დაუწყო და ბოლოს ეს ურჩხული გააგდო, – იხსენებს სუგვატი იადავი, რომელიც სამუშაოზე თავის ათი წლის შვილთან ერთად მიდიოდა.



დათვის თავს დაესხა 60 წლის პიარე ლალ კუშვახასა და მის მეუღლეს, როდესაც ისინი ფერმაში მუშაობდნენ. მამაკაცი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მყოფი გადაიყვანეს. ასევე დათვთან შეხვედრისგან დაშავდა 62 წლის ჩამპა ჯაინი, რომელიც გამვლელმა გადაარჩინა. მან ცხოველი ჯოხის ცემით მოიგერია. კიდევ ერთი დაშავებული აღმოჩნდა შვიდი წლის კრიტიკა რაჯპუტი. მას მამა მიეხმარა, დეიდამ კი სახლში შეიყვანა.

ინდოეთის ტყის მეურნეობამ დათვის მოსაძებნად 40-კაციანი ჯგუფი შექმნა, რომლებიც ექვსი მანქანითა და ცხოველის დასაჭერად აუცილებელი ყოველგვარი მოწყობილობებით აღჭურვა. აქამდე ცხოველის პოვნა ვერ მოხერხდა.

## გამტაცებელმა ბავშვი მამას ცხვირწინ ააცალა



ინდოეთში გამტაცებელმა ბავშვი მამას ცხვირწინ ააცალა. ამ შემთხვევის ამსახველმა ვიდეოჩანაწერმა, რომელიც სათვალთვალო კამერამ გადაიღო, მედიის ყურადღება მიიქცია.

ვიდეორგოლზე, რომელიც მუმბაიშია გადაღებული, ორი წლის გოგონა, შირენ ფატიმა, მამის მაღაზიის კართან თამაშობს. ამ დროს მას სწრაფად მიუახლოვდა უცნობი პიროვნება, თავზე ხელი გადაუსვა, შემდეგ ხელში აიყვანა და წაიყვანა. ამასთან, გამტაცებელიც და ბავშვიც საკმაოდ მშვიდად გამოიყურებიან. გარკვეული დროის შემდეგ მამამ შვილის დაკარგვა შენიშნა და განგაში ატეხა. მან პოლიციაში დარეკა. სამართალდამცავებმა სათვალთვალო კამერების ჩანაწერები შეისწავლეს და გამტაცებელზე ძებნა გამოაცხადეს. ექვსი საათის შემდეგ გამტაცებელი დააკავეს, ხოლო გოგონა მშობლებს დაუბრუნეს.

## ყავის მოყვარულმა შემთხვევით ჯეკპოტი მოხსნა

ამერიკელმა რეიმონდ შოუვმა მაღაზიაში ყავის არქონის გამო შემთხვევით ჯეკპოტი მოხსნა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი პორტალი ავრცელებს.

შოუვმა, რომელიც კანადაშია დაბადებული, მაგრამ ნიუ იორკში ცხოვრობს, განმარტა, რომ სამსახურის შემდეგ ყავის დალევა გადაწყვიტა, თუმცა, პირველ მაღაზიაში, რომელშიც ის შევიდა, სასმელი აღარ ჰქონდათ. მამაკაცს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ აუცილებლად უნდა ეყიდა ყავა, ამიტომ კიდევ ერთ მაღაზიაში შევიდა და ყავასთან ერთად ლატარიის ბილეთიც შეიძინა, რომელიც მომგებიანი აღმოჩნდა.

– ავიღე ყავა და ბილეთი და ჩემს სარდაფში ჩავედი, სადაც ჩვეულებრივ ლატარიის ბილეთებზე დამცავ ფენას ვფხეკ. საკმაოდ დიდი ხანია, ლატარიას ვთამაშობ და ძალიან გამიკვირდა, ჯეკპოტი რომ მოვხსენი. სიმართლე გითხრათ, არ მჯეროდა და ვფიქრობდი, რომ გამამაიმუნეს, – განაცხადა შოუვმა.

მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ მართლა მოიგო ხუთი მილიონი დოლარი, მან ბილეთი გაზეთების ქვეშ დამალა და




დასაძინებლად წავიდა ისე, რომ მომხდარის შესახებ ცოლისთვისაც კი არაფერი უთქვამს. მამაკაცმა მოგების მთლიანად მიღება გადაწყვიტა: ყველა გადასახადის გასტუმრების შემდეგ მისმა მოგებულმა თანხამ 3.309.000 დოლარი შეადგინა. ის ამ თანხის რაიმე საქმიანობაში ინვესტირებას აპირებს, რათა საკუთარი ოჯახის მომავალზე იზრუნოს.

## ვირუსებთან მომუშავე ამერიკელი ავად გახდა და გაუჩინარდა



ამერიკის ქალაქ ატლანტის პოლიცია დაავადებების კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის თანამშრომელს ეძებს, რომელიც დაახლოებით ორი კვირის წინ უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. პოლიციის მონაცემებით, 35 წლის ტიმოთი ჯერელ კანინგემი ბოლოს საზოგადოებაში 12 თებერვალს გამოჩნდა. იმ დღეს მან ადგილობრივ საავადმყოფოში დარეკა, ვინაიდან თავი შეუძლოდ იგრძნო. დაკარგულის ოჯახმა მის სახლში აღმოაჩინა ავტომობილი, გასაღებები, საკრედიტო ბარათები, საფულე, ტელეფონი და მისი ძაღლი.

მამაკაცის დამ აღნიშნა, რომ ის თავს სერიალ „შავი სარკის“ საშინელი ეპიზოდის გმირის როლში გრძნობს.

პოლიციამ ჯილდოდ 10 ათასი დოლარი დააწესა იმ პირისთვის, ვინც ნებისმიერ ინფორმაციას მიაწვდის კანინგემის შესახებ.

გავრცელებული ინფორმაციით, კანინგემი იმ ჯგუფის მონაწილე იყო, რომელიც სასიკვდილო ვირუსების, ებოლასა და ზიკას, აფეთქებებზე რეაგირებდა. არ არის გამორიცხული, რომ სასიკვდილო ვირუსებთან მუშაობა და მისი შეუძლოდ ყოფნა ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული, თუმცა ამ ინფორმაციას ოფიციალური დადასტურება ჯერ არ მოჰყოლია.

## ასტროპროგნოზი

### 3 მარტისათვის



**ვერძი** – პლანეტები გწყალობენ. სასიცოცხლო პოტენციალი ძალზე მაღალია. ბევრ საქმეს მოასწრებთ. **კურო** – იაქტიურეთ. ენერგიის კონცენტრირება დაგეხმარებათ, რათა დაკისრებულ მოვალეობას თავი სათანადოდ გაართვათ. **ტყუპები** – რთული დღეა. დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. ნუ გადაიღლებით. **კირჩხიბი** – დღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. გონიერება და სიდინჯე დღის დევიზია. **ლომი** – ენერგია გემატებათ. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. ერიდეთ ქალაქიდან გასვლას. **ქალწული** – კეთილისმყოფელი, მშვიდი პერიოდია. გიმართლებთ კომერციულ საქმიანობაში. **სასწორი** – ნებისმიერი აქტიურობა დაუშვებელია. უმჯობესია, თუ პირად ცხოვრებაზე იზრუნებთ. **ღრიანკალი** – ქუჩაში მოძრაობისას იფრთხილეთ. ერიდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა თქვენ სასარგებლოდ წარიმართება. **მშვილდოსანი** – განმარტოვდით და დაისვენეთ. სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. **თხის რქა** – წიგნების კითხვა, პროფესიონალიზმის ამაღლებაზე ზრუნვა დღეს აუცილებელია. შესაძლოა გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **მერწყული** – შეიცვალეთ გარემო. ყოველდღიურ ალიაქოთს დროებით გაერიდეთ. დასვენება გჭირდებათ. **თევზები** – ნებისმიერ სფეროში ბედი გწყალობთ. სამსახურში უყურადღებობა დაუშვებელია.

### 4 მარტისათვის

**ვერძი** – თავგადასავლები და პროვოკაციები დღეს არ დააყოვნებს. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **კურო** – ადრე დაწყებული საქმის დამთავრებამდე ახალს ხელს ნუ მოჰკიდებთ. კოლექტიურობას ერიდეთ. **ტყუპები** – პერსპექტიული დღეა. გაიფართოვეთ სამოქმედო არეალი. ფორტუნა გიღიმით. **კირჩხიბი** – უმჯობესდება ურთიერთობა ნათესავებთან. ცოტა უნდა დაისვენოთ, გარემო შეიცვალოთ. **ლომი** – ახლობლებთან მეტი წინდახედულობა გმართებთ. ოჯახში ჰარმონიას თქვენი მოთმინების უნარი განაპირობებს. **ქალწული** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ, მაგრამ სხვების ინტერესებიც გაითვალისწინეთ. პასიური დღეა. **სასწორი** – ილუზიების ტყვეობაში ხართ. რეალობა ჯანსაღად შეაფასეთ. თავს ნუ მოიტყუებთ. **ღრიანკალი** – საქმიანი კონტაქტები წარმატებით დაგვირგვინდება. შრომისმოყვარეობა და ცოდნის მიღება დღის დევიზია. **მშვილდოსანი** – ემოციები დაიოკეთ. მშვიდად და დაკვირვებით იმუშავეთ. ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. **თხის რქა** – პირადი ცხოვრება მოიწესრიგეთ. მიმართეთ ძველ, ნაცად მეთოდებს. მოულოდნელი ინფორმაცია საქმეში დაბრკოლებას შეგიქმნით. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. სუფთა ჰაერზე სეირნობა და სულიერი ძალების აღდგენა გჭირდებათ. **თევზები** – საქმეს სახვალიოდ ნუ გადადებთ. სიზარმაცე და დაუდევრობა დაგაზარალებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 2. პარაზიტი, მკბენარა მწერი; 3. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 4. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 5. ცხელი ქარი; 8. ნიადაგის დასამუშავებელი მანქანა; 9. ფარისეველი, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 14. ოპერა „სევილიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 16. ფულის ერთეული ჩინეთში.

**თარაზულად:** 1. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ტროპიკებში გავრცელებული წყლის დიდი ფრინველი; 7. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო გემი; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. კულინარიასა და მედიცინაში გამოყენებული, ორნახშირმჟავა ნატრიუმის ნაერთის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 11. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 13. შვეიცარიის დედაქალაქი; 15. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთის ვარსკვლავი; 17. ქიმიური ინდიკატორი; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. წინასწარ აღებული, მისაღები თანხის ნაწილი; 20. ერთწლიანი მარცვლეული მცენარე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ქედანი; 2. ფოთი; 3. ლაფონტენი; 4. ლარგო; 5. ნეოლითი; 8. ლენონი; 9. „მაკნატუნა“; 12. ლეკები; 14. ოქსინო; 16. აიეტი.

**თარაზულად**: 1. ქლოროფილი; 6. გაბრიაძე; 7. დვალეთი; 9. მადონა; 10. ბონი; 11. მოზაიკა; 13. ფხოვი; 15. ტეკილა; 17. ბიზნესი; 18. „ხეტაფე“; 19. დისნეი; 20. „მიტარბი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ჯოკერი; 2. წოტი; 3. ინდონეზია; 4. ლოლუა; 5. ვერსაჩე; 8. ტიგელი; 9. კალანდაძე; 12. „ბაზელი“; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

**თარაზულად**: 1. ჯვრისწერა; 6. „ანტიგონე“; 7. კანტატა; 9. კესონი; 10. ბანა; 11. ვექსილი; 13. კანოე; 15. ვალიზა; 17. ვანდომი; 18. დევიზა; 19. გრიზლი; 20. ლუტეცია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4692

ევრო — 3.0179

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.426

100 რუსული რუბლი — 4.3876

**ამინდის პროგნოზი 3 მარტისთვის**








27 თებერვლიდან

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი ტომი 14

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




7 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

9 მარტიდან

60 ამბავი

**უცხოეთში დაკარგული ქართველები**




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




14 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

**ქალი ჩანთაში**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ექიმი: „ნეიმარის ტრავმა სერიოზულია“



ნეიმარი ბრაზილიაში ჩაფრინდა, სადაც მას ოპერაციას გაუკეთებენ. ნეიმარის ექიმმა განაცხადა, რომ საქმე სერიოზულად არის და ბრაზილიელ ფეხბურთელს მინიმუმ ორი თვე დასჭირდება გამოსაჯანმრთელებლად. უკვე გავრცელდა ჭორები იმის შესახებაც, რომ ნეიმარმა, შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს, რაზეც ფეხბურთელის ექიმმა განაცხადა, რომ ეს, სავარაუდოდ, არ მოხდება. ნეიმარის არყოფნა პსჟ-სთვის უდიდესი დანაკლისი იქნება, რადგან ის წლევანდელ სეზონში პარიზული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

## ვალვერდე: „ატლეტიკოსთან მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ ლას პალმასთან ფრედ ნათამაშევი შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ატლეტიკოსთან თამაში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება და ბარსელონა ვალდებულია, ბოლომდე მოახდინოს კონცენტრირება.

— ლას-პალმასთან დასანანი ქულები დავკარგეთ და ეს ჩვენი ბრალია, თუმცა მსაჯსაც ჰქონდა შეცდომები. ატლეტიკომ სხვაობა შეამცირა და მასთან შეხვედრა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. კვირას ბევრი რამ გაირკვევა, — განაცხადა ერნესტო ვალვერდემ.

## იუმორი

სასტუმროში ერთმანეთის მეზობლად ნომრებში აღმოჩნდნენ რუსი ქალი და ესპანელი მამაკაცი. ერთ საღამოსაც ესპანელმა ერთი ბოთლი ღვინო აიღო და ქალის ნომრის კარზე დააკაკუნა. რუსი ქალი კითხულობს:

— ვინ არის?

— ხუან კარლოს ემანუელ და სილვა.

— კარგი, შემოდით, ოღონდ — სათითაოდ.

•••

შერლოკ ჰოლმსი ვატსონს ეუბნება:

— ვატსონ, ვხედავ, დღეს თქვენ შემთხვევით მარცხენა ფეხი ნეხვში ჩაგიდგამთ.

— ჰოლმს, ამ შემთხვევაში თქვენმა დედუქციურმა მეთოდმა არ გაგიმართლათ.

— ეგ როგორ?

— შემთხვევით კი არა, სპეციალურად ჩავდგი.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, მინდა, უზომოდ გაგაბედნიერო!

— ძალიან დამაკლდები!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— რისი ყურება გიყვარს?

— სპორტის.

— ყველაზე მეტად რა მოგწონს?

— მორბენალი ტახი.

— სროლაში შეჯიბრება?

— არა, ის, თუ როგორ დარბის ჩემი მეზობელი დილით ეზოში.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— მართალია, რომ კარგი ჯიშიანი ძაღლი გყოლია?

— ჰო. გუშინ მისი წინაპრების ისტორიას გადავავლე თვალი და, კიდევ კარგი, კითხვა არ იცის.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაშინ მე მომიწევდა მისთვის დილაობით ფლოსტებისა და გაზეთების მიტანა.

•••

მაღაზიაში გამყიდველი გოგონას ეუბნება:

— ღვინოს ვერ მოგცემ, იმიტომ, რომ სრულწლოვანი არ ხარ.

— როგორ არა, აი ჩემი პირადობის მოწმობა.

— პირადობა კარგი, მაგრამ მკერდი სად არის?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


21 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

**დანაშაული აღარ მოხდება**

„ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი







1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი

**სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




16 მარტიდან

100 ამბავი

**მსოფლიო მონარქები**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


## ტოტენჰემს მარკო როისის შეძენა სურს



ლონდონის ტოტენჰემს შეტევის კიდევ უფრო გაძლიერება სურს და ის მზად არის, დორტმუნდის ბორუსიას ფორვარდი მარკო როისი იყიდონ, რომელსაც ინგლისში სურს თამაში.

ერთ-ერთ ინტერვიუში მარკომ არ დამალა, რომ მისთვის საინტერესო იქნებოდა თავისი ძალების გამოცდა პრემიერ ლიგაში.

თავის მხრივ, დორტმუნდის ბორუსიას არ სურს თავისი ერთ-ერთი ლიდერის გაყიდვა და ტოტენჰემს მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა იმ შემთხვევაში, თუ ის სერიოზულად აპირებს როისის შეძენას.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## არსენ ვენგერი შესაძლოა სეზონის ბოლოს არსენალიდან გაუშვან



არსენ ვენგერი შესაძლოა სეზონის ბოლოს არსენალიდან წავიდეს.

ამაზე სულ უფრო და უფრო ხშირად არის საუბრები და უკვე რამდენიმე კანდიდატიც სახელდება, რომლებმაც შესაძლოა ვენგერი შეცვალონ. ყველაზე რეალური კანდიდატი იულიან ნაგელსმანია, რომელიც ამჟამად ჰოფენჰაიმს უდგას სათავეში და გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სპეციალისტად ითვლება.

ნაგელსმანი ჯერ მხოლოდ 30 წლის არის და ეს ასაკი მწვრთნელისთვის ძალიან უჩვეულოა.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჯავახეთში სახლის ის ნაწილი, სადაც ჭურჭელი უწყვიათ; 2. კომბინაცია პოკერში; 3. ესპანეთის საკალათბურთო ლიგაში მოთამაშე, საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 4. რომაელი პოეტი „ღვთაებრივი კომედიას“ ავტორი; 5. ჯაშუშის, მაბეზღარას ძველი სახელწოდება; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 9. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო თვითმფრინავში; 12. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. ფრანგი მხატვარი; 16. უბანი თბილისში.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის, ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 6. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი მდიდარი ადამიანი; 7. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 11. ძველებური, სახელურიანი, დასაკეცი სათვალე; 13. ვარსკვლავთა კრებულის ძველი ქართული სახელწოდება; 15. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 17. აზნაურის ტიტული ძველად საფრანგეთში; 18. გამომშრალი, უკურკო გარგარი; 19. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 20. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

